საკვირო პალიტრა

№19 (658)
ოთხშაბათი
1 ივნისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

300 წლის შემდეგ საქართველო წმინდა მიწაზე დაბრუნდა

უკვე ჩვენს საკუთრებაში არსებული 4000 კვადრატული მეტრი მიწა მდინარე იორდანესთან მდებარეობს, იქ, სადაც იოანე ნათლისმცემელი ცხოვრობდა და მაცხოვარი მოინათლა. ნაკვეთი მდინარე იორდანესთან 15-20 მეტრის მანძილზეა.

„დღეს ისტორიული დღეა. დღეს ჩვენ ოფიციალურად გადმოგვეცა მიწა, სადაც აშენდება ქართული კულტურის ცენტრი. ეს არის ყველა ქართველისთვის ალბათ საოცნებო დღე, ვინაიდან ქართველები, 300 წლის შემდეგ ბრუნდებით წმინდა მიწაზე. მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ამ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი აქვს მეფე აბდალა II-ს, პრინც ღაზის, ასევე იერუსალიმის პატრიარქს, ჩვენს პატრიარქს, ჩვენს მთავრობას. ჩვენ ყველამ ერთად ვიმუშავეთ იმისთვის, რომ ეს ისტორიული ფაქტი დამდგარიყო დღეს და ჩვენ ყველანი ვართ ამის მომსწრენი. კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველა ქართველს, ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ამ მნიშვნელოვან მოვლენას“.

ჩვენი მკითხველების სახელით, მთელი საქართველოს სახელით დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ საშვილთაშვილო საქმეში წვლილი შეიტანა.

მერაბ შათირიშვილი: ქართველმა ერმა მტკიცე უარი უნდა თქვას ნებისმიერ კავშირში შესვლაზე, სადაც ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებაზე იქნება ლაპარაკი

გელა ზედელაშვილი: საქართველოს აუცილებლად მიიღებენ ევროკავშირის კანდიდატ სახელმწიფოდ და ამ ოპოზიციის მზეც საბოლოოდ დაბნელდება

გახდება თუ არა ბაიდენი XXI საუკუნის გმირი?!

ძალიან რომ უნდოდეს, პუტინს ამ ომის შეჩერება არ შეუძლია. ერთადერთი კაცი, ვისაც ყველა ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ ეს აპოკალიფსური ომი დაამუხრუჭოს, არის ჯო ბაიდენი

რამაზ საყვარელიძე: თუ მსოფლიოში პროცესები ჩვენთვის სასარგებლო სცენარით წარიმართა, საქართველოს აქვს შანსი, ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს



ნანა დევდარიანი: ნაცები არც საპარლამენტო ოპოზიციაა და არც პოლიტიკური, არამედ გახლავთ საქართველოს ოპოზიცია

„მეგობარს ჩახედე თვალებში...“





პროლეტარად გამოცხადებული მიშა ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია

საქართველოს აუცილებლად მიიღებენ ევროკავშირის კანდიდატ სახელმწიფოდ და ამ ოპოზიციის მზეც საბოლოოდ დაბნელდება

ამა წლის 27 მაისს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მიბრძანდა პარლამენტში და „ნაციონალებსა“ თუ მათთან გათანაბრებულ პირებს დასცა ბნედაი საკვირველი!

როგორც წესი, ე.წ. ოპოზიცია სულ თვითონ ითხრის სამარეს, ახლაც ასე მოუვიდა - იქით ატყდნენ, მთავრობა უნდა დავიბაროთ, შეკითხვები გვაქვს ევროკავშირის კანდიდატობასთან დაკავშირებითო. სალომე სამადაშვილი ჭყლოპინებდა მთელი დღე, კანდიდატად თუ არ მიგვიღეს უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად, ეს მთავრობა პასუხისმგებლობას აიღებს და გადადგებაო? „ქართული ოცნება“ ხელისუფლებიდან წავაო? ეს ქალი რაღაცნაირი მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში - თავი კიტრი ჰგონია მაშინ, როცა ელემენტარული აზროვნების უნარი არ გააჩნია. გარდა ამისა, მაგარი ქვეშ-ქვეშა ინტრიგანია, დაწოწიალობს ევროპარლამენტში და

რომელი დეპუტატების ანგარიშებზე „ხელფასები“ აქვთ გადარიცხული, იმათთან აძაგებენ თავიანთ ქვეყანას. ისინიც ლაპარაკობენ და ბეჭდავენ აუგს, საქართველო იმსახურებს კანდიდატობას, მაგრამ ხელისუფლება არაო. არადა, რაც კი რამ წარმატებაა მიღწეული ამ მხრივ, ყველაფერი ამ ხელისუფლების დამსახურებაა. ვთქვათ სიმართლე, ვაღიაროთ. კი უნდა სააკაშვილის „შანტრაბას“, წინ გადადგმული ნაბიჯები თავად მიიწეროს, მაგრამ არ გამოდის, არ ებმება დამნაშავეთა მოღვაწეობას 2012 წლის შემდგომი დღეები. ამიტომაც გაბოროტდნენ, არც ადრე იყვნენ სრულ ჭკუაზე, არც ადრე კრეფდნენ ვარსკვლავებს გონიერების სფეროში, მაგრამ ახლა საერთოდ დაკარგეს ორიენტაცია და ერთი რაღაცის გასაღები.

ამას წინებზე ერთმა ნაცნობმა დაწერა, სანამ ადამიანი არ გაიზრდება, სახელი არ უნდა დაერქვასო. ვეთანხმები, ადამიანს სახელი უნდა ერქმეოდეს დამსახურებისამებრ, თორემ რა გამოდის? დაიბადება - უწოდებენ არმაზს, გუბაზს, თამარს, გიორგის, დავითს... წამოიზრდება, სიარულს ისწავლის, გავა, გამოვა, პარლამენტშიც შევა, რომელიმე პარტიაში ფულს მიიტანს, ჩაეწერება და... ჰეეე, წაგვაჭამს ტვინსა, ხან პრემიერ-მინისტრის დაბარება მოუნდება, ხან მთელი მთავრობისა. რა გუბაზი, რა არმაზი, სადაური თამარი და რომელი დავითი? ამათ უნდა ერქვათ საქულა, გრიქულა, ტაშკუილა, წვინტლა, ყვინტლა და ცინგლა!

გამოდიან საკანონმდებლო ორგანოში და ბოდავენ, პრემიერ-მინისტრს, ქვეყნის მეთაურს შეურაცხყოფას აყენებენ, ევროპარლამენტში რატომ არ მიდიხართ, იქ არ გიშვებენო? ამ ტონით ისევ ის ქალი ლაპარაკობს, სალომე სამადაშვილი, ადრე „ნაცმოძრაობაში“ რომ კოტრიალობდა, ახლა ხაზარაძის „ლელოში“ რომ კოტრიალობს და ხვალ-ზეგ სხვა პარტიაში რომ იკოტრიალებს...

არმაზ ახვლედიანმა, ორი-სამი წელიწადი „ქართულ ოცნებაში“ რომ იდო და მანამდე კიდევ სააკაშვილის პარტიაში რომ იდო და მანამდე კიდევ შევარდნაძის პარტიაში რომ იდო და მანამდე კიდევ ასლან აბაშიძის „აღორძინებაში“ რომ იდო და თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა, მთავრობას მიმართა, თქვენ ისეთი ცუდები ხართ, ევროკავშირის კანდიდატობას არ იმსახურებთ, ეს ჩვენ ვიმსახურებთ ყოველივე საუკეთესოსო.

მონები მინახავს, როგორ არ მინახავს, მაგრამ ასეთი ფარჩაკი მონები არა, რეზოლუციების ხსენებაზე კანკალებენ, ეს უდღეურები. ისაო, საქართველოს ხელისუფლებამ შარლ მიშელის (შარლ ივ ჟან გიზლენ მიშელი - ევროპული საბჭოს პრეზიდენტი) იდეებს უღალატაო. დიახ, ბატონო ირაკლი, თქვენ მიშელს უღალატეთო. წარმოგიდგენიათ, რეებს ბოდიალობენ და როგორ ისვამენ თავებზე ვაზელინებს? ვინ არი შარლ მიშელი, რომ ჩვენ მას ვუღალატოთ ან არ ვუღალატოთ? ის ერთი ევროპელი ჩინოვნიკია, თუ რამეს საჩვენოდ აკეთებს, დიდი მადლობა, თუ არა და ჩაო, კაკაო!

ჭიჭე (ჯუნიორ) ვაშაძემ, პრემიერ-მინისტრობაზე რომ ოცნებობს, ცოტა ისეთი, შემრიგებლური დაიჭირა - მოდით, დავსხდეთ, მოვილაპარაკოთ, გადავწყვიტოთ, ქვეყნის მომავალი დავალაგოთ, პასუხისმგებლობა გავინაწილოთო. ვირეშმაკა, განა ამისი რამე დაიჯერება? შეძვრომას და შიგნიდან აყირავებას ცდილობს, მზამზარეულზე მოჯდომას ცდილობს, რათა მერე იტრაბახოს, საქართველო ევროკავშირში კანდიდატად ჩვენ მივაღებინეთ, სტრატეგია აღმაშენებელმა გაჭრა, „ოცნებას" არ უნდოდა, მაგრამ ვიძალადეთო.

ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში გამოსვლა მეტად ზომიერი ტონით დაიწყო, პირველი ნაწილი მთლიანად მიუძღვნა იმას, რაც ბოლო თვეების განმავლობაში გაკეთდა, მით უფრო უკრაინასთან და ევროკავშირთან დაკავშირებით. დაასრულა თუ არა სიტყვა, ეგრევე დასვა შეკითხვა: კიდევ რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს მთავრობას, კიდევ რისი გაკეთება იყო საჭირო? თქვენ გგონიათ, რომელიმე ე.წ. ოპოზიციონერი წამოდგა და საქმიანად ჩამოაყალიბა, კიდევ რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს მთავრობას? არა, თქვენც არ მომიკვდეთ, ეყარნენ ქათქათა სავარძლებზე და მიხეილ სააკაშვილზე ყმუოდნენ, ბატონო ირაკლი, ყოფილი პრეზიდენტი რომ გყავთ დატუსაღებული სადღაც გულაგში, არ გრცხვენიათო? საქართველოს დიდი პატრიოტი რომ უკვდება, ამაზე რას ფიქრობთო? აქვე უცებ ჩააზვევენ ხოლმე, რუსეთს რომ ეხმარებით ტვირთების გატარებაში და საქართველო შავ ხვრელად აქციეთ, თქვენ გგონიათ, ეს გეპატიებათო? „ლელოელი“ ანა ნაცვლიშვილი გამოვიდა ამაყად, ყელმოღერებული, განრისხებული, სახეალეწილი, ეკა ბესელიას მსგავსად წარბებშეყრილი და დაიწყო... მოკლედ, ქალი ეგრე იბრიქებოდეს, არასდროს მინახავს... აღარ იციან, რა გააკეთონ, ყველა გეგმა და პროგრამა ჩაუფლავდათ. კიდევაც უნდა ჩაფლავებოდათ, მაცივრით შემოპარულ კონტრაბანდულ მიხოს გეგმები და პროგრამები არ გაიშვა სოფელ ყიზილაჯლოს გადასახვევამდე!

იხევიან ნაკერავზე, უკვე გითხარით, დაეთრევიან ევროპარლამენტში და ვირთხობენ, ეგებ საქართველო არ მიიღოთ კანდიდატადო. ასევე დაეთრეოდნენ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე, ვიზალიბერალიზაციის გაფორმებამდე, ეხვეწებოდნენ, არ მოგვცეთ, ჩვენი ქვეყანა ამას არ იმსახურებსო. ახლაც იგივეს აკეთებენ, მაგრამ ეს მცდელობაც ჩაუვარდებათ!

და... როდესაც მეგონა, ირაკლი ღარიბაშვილი ასევე მოთმინებით ჩაამთავრებდა იმ დღეს, სწორედ მაშინ დაიწყო ე.წ. ოპოზიციის „დადუღება“.

რამდენიმე ამონარიდი პრემიერ-მინისტრის გამოსვლიდან:

●

„ახლა მე გეკითხებით, ორი თვის წინ, სისულელე რომ გაგვეკეთებინა და თქვენთვის დაგვეჯერებინა, რუსეთისთვის ეროვნული დონის სანქციები დაგვეწესებინა, რა მდგომარეობაში ვიქნებოდით დღეს? თუ გაქვთ წარმოდგენა საერთოდ, ერთი მილიონი ჩვენი მოქალაქე ცხოვრობს რუსეთში, გვაქვს სავაჭრო ურთიერთობები, ჩვენი ქვეყანა დღეობით ოკუპირებულია და რუსული ჯარი დგას ჩვენს ტერიტორიებზე, ამ ფონზე სანქციების დაწესება ნიშნავდა იმას, რომ საკუთარ მოქალაქეებს დავუწესებდით სანქციებს. მიუხედავად სოლიდარობისა უკრაინის მიმართ, ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ამ გადაწყვეტილებას ვერ შეგვაცვლევინებს ვერავინ“!

●

„მაშინ, როდესაც ქვეყანა ევროკავშირისგან ელოდება ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, ეს ადამიანები, ვითომ პატრიოტები, ავრცელებენ განცხადებას, რომ საქართველო ეხმარება რუსეთს სანქციებისთვის გვერდის ავლაში, ეს არის მტრობა, ეს არის ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების ღალატი“!

შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა... რაღა დაგიმალოთ და მიწაც მიაყარა ე.წ. ოპოზიციას... მოკლედ აღნიშნა, რისთვის შემოიტანეს კონტრაბანდული საქონელი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში და რის გაკეთებას აპირებდნენ, ბოლოს კი ე.წ. ოპოზიციონრებს ურჩია, კარგად ჩამოყალიბდნენ, ამ ქვეყანას ემსახურებიან თუ რომელიმე უცხო სახელმწიფოს?

ესენი ავად არიან... არა მხოლოდ ფიზიკურად, სულიერადაც დეგრადირდნენ, ულვაშებში გამოწყობილი რომან გოცირიძე ადრეც აფრენდა, მაგრამ ახლა მთლად გადარეკა თავისი ფარა მთაწმინდის გადაღმა. ისაო, პარლამენტის შენობის წინ საშინელი ჯვარი რომ დგას, მოხსენით, ეს უკანონოა რელიგიურად და სამართლებრივადო: „ალტ-ინფოს“ ჯვარს ვეძახი, მოხსენით ეს საშინელი ჯვარი“!



ჯვარი ჩვენ ვიცით ქრისტესი, ასევე ვიცით წმიდა ნინოსი... მოკლედ, დასრულდა ამათი ამბავი, ტყუილად ვდგავართ სარკოფაგის პირას და ვუყურებთ, მუმიათა ე.წ. ღაღადს.

ასეა, ბატონო პრემიერო... საქართველოს აუცილებლად მიიღებენ ევროკავშირის კანდიდატ სახელმწიფოდ და ოპოზიციის პოლიტიკური მზეც საბოლოოდ დაბნელდება.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ქართველმა ერმა მტკიცე უარი უნდა თქვას ნებისმიერ კავშირში შესვლაზე, სადაც ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებაზე იქნება ლაპარაკი

გვესაუბრება მწერალი
მერაბ შათირიშვილი

— ბატონო მერაბ, საუბრები საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე ბოლო ხანებში განსაკუთრებით აქტიური და აქტუალური გახდა. რას იტყვით, გვაქვს რეალური პერსექტივები?

— მე მინდა, ჩემს ქვეყანას ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან ჰქონდეს ერთობა და კავშირი, ოღონდ თანაბარი უფლებებით, რადგან არავისზე ნაკლები არ ვართ, ჩვენ ვართ უძველესი ხალხი დედამიწაზე და პატივი გვცენ.

ჩამოდიან აქ დაყენებული გამომეტყველებებით ვიღაც გაურკვეველი ვითომ პოლიტიკოსები და ჭკუას გვარიგებენ.

მე ისეთი ევროპის წინააღმდეგი ვარ, რომელიც ხელისუფლებას, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობამ აირჩია, მარიონეტების თეატრის თოჯინებივით ათამაშებს. თუ ჩვენი ქვეყნის ანტიკურობას, უძველესობას პატივს სცემენ, თუ ქართველ ხალხს აფასებენ, რატომ ახვედრებენ ევროპაში ჩემი ქვეყნის პრემიერს ოპოზიციის, იგივე საქართველოს მტრების მიერ შეთხზულ ცრუ ბრალდებებს და ჭორებს. ამით ისინი ქართველ ხალხს შეურაცხყოფას გვაყენებენ.

— რა შუაშია ამ ყველაფერთან ქართველი ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი, რომლის შესახებაც თქვენ ამასწინათ თქვით: თუკი მის ანგარიშებს სანქციებს დაუწესებენ, ქართველმა ხალხმა უარი უნდა თქვას ევროკავშირზეო?

— 2011 წელს, როცა ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი იყო პრობლემა, მე, ლუკა კურტანიძემ და სოსო ჯაჭვლიანმა აქცია მოვაწყვეთ არა კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებით, არამედ, საერთოდ, „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის უსამართლობის წინააღმდეგ.

დღესაც მხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე არაა საუბარი.

საერთოდ არ ვიცნობ ამ ადამიანს, სულ ორჯერ შევხვდი, ერთხელ ლუკასთან და სოსოსთან ერთად და მეორედ აღარ მახსოვს, რაღაც შეხვედრაზე.

არასდროს ივანიშვილი არაფერზე არ შემიწუხებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დამჭირდეს, უყურადღებოდ არ დამტოვებს არც მე და არც ნაციონალების წარმომადგენლებს, რომლებიც არასდროს მიუტოვებია გასაჭირში, იმათაც კი დახმარებია, ვინც დღე და ღამე აგინებდა და აგინებს. ეს ადამიანი არის პიროვნება, მოვლენაა ქართულ სინამდვილეში. არის ღარიბი გლეხის უპატიოსნეს ქართულ ოჯახში, სიღარიბეში გაზრდილი კაცი, რომელსაც აქვს ზნეობრივი ოჯახი და თუ აქვს გარკვეული სიმდიდრე, მას ეს არავის ხარჯზე არ მიუღწევია ნაციონალებივით, მაგათნაირად არ გაუყვლიფავს საქართველო. ახლა უცებ გამახსენდა და მაგალითისთვის გეტყვით, რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელს 180 მილიონი რომ წაგლიჯეს და 10 მილიონი შეიტანეს ქვეყნის ბიუჯეტში, ეს მთელმა საქართველომ იცის და რამდენი ასეთი ჩამოვთვალო.

ივანიშვილი არის ქტიტორი, მეცენატი, ქველმოქმედი, 2012 წელს სატანისტური ხელისუფლება გაისტუმრა დემოკრატიული გზით, ისე, რომ თვითონ არ დახარბებია ძალაუფლებას და გადგა განზე. ეს კაცი თავისი ცხოვრებით ბედისწერის მონა კი არ არის, არამედ თვითონ ქმნის თავის ბედისწერას. სამაგალითო კაცია და სწორედ ასეთი ადამიანები არიან ისტორიული პიროვნები. კიდევ ვიმეორებ: ბიძინა ივანიშვილი არასდროს არაფერში დამხმარებია არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად, არც თანამდებობა მაქვს და არც დიდი ფინანსური შესაძლებლობები, მაგრამ რაც სიმართლეა, ის უნდა ითქვას.

რომ დაუჩემებიათ, ბიძინა ივანიშვილს უსმენს „ქართული ოცნება“ და მის ჭკუაზე დადისო. ახლა მე ვსვამ შეკითხვას: რატომ არ უნდა უსმენდეს ბიძინა ივანიშვილს? რატომ არ უნდა მისმენდეს მე, მერაბ შათირიშვილს? რატომ არ უნდა უსმენდეს თქვენს რედაქტორს, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას? რატომ არ უნდა გისმენდეთ თქვენ? რატომ არ უნდა უსმენდეს ნებისმიერ ქართველს?

საქართველოს მოქალაქეს რომ ხელისუფლება უსმენს, ზუსტად ისეთი ხელისუფლება გვინდა ჩვენ, თორემ ხალხს რომ არ უსმენს ისეთი ხელისუფლება ვის სჭირდება?

სააკაშვილი ხალხს რომ არ უსმენდა და სისხლის ტბორები დააყენა, იმიტომ გავისტუმრეთ მოუსავლეთში.

„ნაცმოძრაობის“ მეხოტბეები რომ ამბობენ, სააკაშვილმა არ იცოდა არაფერი და ბიძინა ივანიშვილს რატომ უნდა სცოდნოდა, მაგალითად, მაჩალიკაშვილი რომ სპეცოპერაციის მსხვერპლი გახდებოდა, ანდა „ნაცმოძრაობა“ 20 ივნისს პარლამენტში შეჭრას რომ მოინდომებდა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაცვის დროს გოგონას თვალი რომ დაუზიანდებოდა, საიდან უნდა სცოდნოდა ეს ბიძინა ივანიშვილს?!

უბედურება ის არის, რომ არც მაგ პარტიას და არც მის ლიდერს ადამიანურობის ნატამალი არ გააჩნიათ.

სააკაშვილი არის შეცდომა, ისტორიული სირცხვილი საპრეზიდენტო ისტორიის.

ბიძინა ივანიშვილს რაც უნდა ტალახი ესროლონ, ის ჩვენს ისტორიაში შევა, როგორც პროგრესის და დემოკრატიის ინიციატორი.

რა სანქციებზეა საერთოდ საუბარი, რა შუაშია საქართველო და ბიძინა ივანიშვილი რუსეთ-უკრაინის ომთან, მაგრამ მე სულ ვამბობ: ეს არ არის კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის თემა და მასზე განხორციელებული ზეწოლა. ეს არის ქართველი ერის მიმართ განხორციელებული ავაზაკური ჩანაფიქრი და თამამად ვიტყვი: საქართველოს მოქალქე ბიძინა ივანიშვილზე თუნდაც მცდელობა, რომ დაუწესონ სანქციები, ეს ნიშნავს, რომ უწესებენ სანქციებს ქართველი ერის უმრავლესობას, ამიტომ ქართველმა ერმა უნდა უთხრას ევროკავშირს: თქვენ არა ხართ ის კავშირი, სადაც უნდა შემოვიდეთ.

— ანუ იზოლირებული უნდა ვიყოთ? უკრაინასაც არ უნდა დავეხმაროთ?

— „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პოზიცია ამ კონფლიქტში აბსოლუტურად გამართლებულია და „ნაცმოძრაობა“, ფაქტობრივად, გადაყვება უკრაინის საკითხზე ხტუნვა-კუნტრუშს. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ხომ გაგიგონიათ? — „ნაცმოძრაობამ“ „ქართული ოცნება“ თავისი ქმედებებით საბოლოოდ გაათავისუფლა ისე, რომ საქართველოს ახლა შეუძლია მართლაც დამოუკიდებელი პოზიციები დაიკავოს და სრულიად გაემიჯნოს რუსეთისა და მსოფლიოს სხვა ძალების პოლიტიკურ ლაბირინთებს, სადაც თავფეხიანად არის გადავარდნილი „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები. თავს დაიღუპავს „ნაცმოძრაობა“ თავისი მოჩვენებითი ემპათიით და პატრიოტობით, რადგან ბუნებაში ვერ იპოვის ვერავინ ვერც ერთ ნაციონალს, რომელმაც თავი გაწირა უკრაინისთვის, ან იქ ჩავიდა და მართლა იბრძოლა. ამ საშინელ ორომტრიალში კიდევ იმას ცდილობენ, რომ საქართველო დააზარალონ.

ხშირად ვამბობ და კიდევ ვიტყვი: რაც ხდება, იმის ბრალია, რომ ეს ე.წ. პარტია არ გასამართლდა 2012-ში სისტემური დანაშაულებების გამო. კი, ნაცების ნაწილმა მოიხადა სასჯელი, მაგრამ სისტემა არ გასამართლებულა.

ხელისფლებამ რომელმაც 2 დღეში იარაღი დაყარა და ტერიტორიები გადასცა რუსეთს, იმ ხელისუფლებას პასუხი რატომ არ მოვთხოვეთ? რას ნიშნავს ეს, ანუ სხვა ხელისუფლებასაც აქვს უფლება კიდევ 20% დაკარგოს?

მე ამ ხელისუფლების უარყოფითსაც ვხედავ და დადებითსაც და რაც სათქმელია, ყოველთვის ვიტყვი. არ დავუკარგავ ბიძინა ივანიშვილს იმ სიკეთეებს, რაც გაუკეთებია, რადგან, კიდევ ვამბობ: ეს კაცი არის ღირსეული ქართველი და მე მუდამ ვიქნები ღირსეული ქართველების გვერდით, იმიტომ რომ, მეც მინდა ვიყო ღირსეული ქართველი. ერის მოამაგეს რომ სანქციებს დაუწესებენ და ლანძღვას დაუწყებენ, ამით ვერაფერს ვერ გვაიძულებენ. ბიძინა ივანიშვილისნაირი ქართველი კაცების დისკრედიტაციის უფლებას არ მივცემთ არავის. ჩვენ თუ ამაზე თვალს დავხუჭავთ, გამოდის, რომ მათი მხარდამჭერები ვართ და მზად ვართ, ნებისმიერი ქართველის შეურაცხყოფაზე თვალი დავხუჭოთ. ეს მონობაა. მე არ მინდა მონობა და არ შევეგუები ამას ისევე, როგორც არ შეეგუება უსამართლობას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა.

ირანდა კალანდაძე
593 51 11 18

გახდება თუ არა ბაიდენი XXI საუკუნის გმირი

რომელიც კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომის საფრთხისგან იხსნის?

ძალიან რომ უნდოდეს, პუტინს ამ ომის შეჩერება არ შეუძლია (ეს რომ გააკეთოს, მთელი რუსეთი აუჯანყდება), ერთადერთი კაცი, ვისაც ყველა ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ ეს აპოკალიფსური ომი დაამუხრუჭოს, არის ჯო ბაიდენი, ამერიკის პრეზიდენტი

ვახტანგ ხარჩილავა:

სამ თვეზე მეტია, უკრაინის ტერიტორიაზე სისხლისმღვრელი და სასტიკი ომი მიმდინარეობს, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ვერავინ თქვა და ვერავინ ახსნა, ზუსტად რა ომის ეს. ომიო, ჩვენ ვთქვით, თორემ ამ ომისთვის ოფიციალურად ჯერ ომიც კი არ დაურქმევიათ — რუსები მას სპეცოპერაციას ეძახიან, უკრაინელები დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ბრძოლას, ამერიკელები და კოლექტიური დასავლეთი რუსეთის დასასუსტებლად და დასაშლელად წამოწყებულ ფართომასშტაბიან ღონისძიებას.

რუსეთი, გასაგებია, რატომ არ არქმევს ამ ომს თავის ნამდვილ სახელს, ომს, მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ იკავებს თავს უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი, ამ მოვლენებს ომი უწოდოს და შესაბამის კანონებზე დაყრდნობით ოფიციალურად გამოაცხადოს, რომ უკრაინას რუსეთთან ომი აქვს, აგერ უკვე სამი თვეა.

ზელენსკი ირწმუნება, რომ უკრაინული არმია არა მარტო უკრაინას, არამედ მთელ ევროპას და ნატოს წევრ ქვეყნებს იცავს რუსეთის აგრესიისაგან. გამომდინარე აქედან, ზელენსკი გამუდმებით-Yითხოვს სამხედრო ტექნიკით და ფინანსებით დახმარებას და ეს დახმარებაც უწყვეტ ნაკადად მიედინება ნახევარ მსოფლიოს მკერდით გადაფარებული უკრაინისკენ.

დახმარება კი მოდის, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ, რაც უფრო მეტი დახმარება მიდეინება უკრაინისკენ, მით უფრო მძლავრად უტევს რუსეთი უკრაინას და ახალ-ახალ ტერიტორიებს იპყრობს.

ხომ საინტერესოა, რატომ აღმოჩნდა ასეთი გრანდიოზული მხარდაჭერა უკრაინისთვის ფუჭი და არაფრისმომცემი და რატომ არ აისახება ეს ყველაფერი უკრაინული არმიის ბრძოლისუნარიანობის მკვეთრ ზრდაზე?

უკრაინა ერთგვარ უძირო და უფსკესო უფსკრულად იქცა, რომელიც მილიარდებს ნთქავს თავის თვითმფრინავებიან-ტანკებიანად, თუმცა უკრაინის პრობლემების მოსაგვარებლად ეს ყველაფერი მაინც არ არის საკმარისი და ზელენსკიც კატეგორიულად ითხოვს დამატებით მილიარდებს, დამატებით სამხედრო ტექნიკას, უფრო მეტ მხარდაჭერას.

ზელენსკის კატეგორიული ტონი სულაც არ არის გასაკვირი — კაცი მზად არის, ბოლო უკრაინელის ბრძოლის ველზე დაცემამდე დაიცვას ევროპა, ნატოს წევრი ქვეყნები, ლამის მთელი ცივილიზებული სამყარო და ამ უდიდესი საკაცობრიო მისიის შესასრულებლად ფული და სამხედრო ტექნიკაც არ მოითხოვოს?

ზელენსკი მესიაა, ზელენსკი ცივილიზებული სამყაროს მხსნელია, ზელენსკი XXI საუკუნის მსოფლიოს ახალი გმირია, რომელიც ბარბაროსი რუსების შესაჩერებლად და მის გასანადგურებლად უკრაინელ ხალხს წირავს მსხვერპლად, თუმცა უკრაინელ ხალხს არავინ ეკითხება, აქვს თუ არა მას სურვილი, ცივილიზებული სამყარო კი გადაარჩინოს, მაგრამ თვითონ ამოწყდეს და განადგურდეს?

ნორმალურ გოწზე მყოფ ერს, ყოველ შემთხვევაში, მის მნიშვნელოვან ნაწილს მაინც, არ შეიძლება თვითგანადგურების და სუიციდისკენ ასეთი ავადმყოფური მიდრეკილება ჰქონდეს, თუმცა მათი ხმა, მათი პროტესტი ჯერ არავის სმენია.

ანკი როგორ მოვისმენთ, როცა უკრაინა მკაცრად ჩაკეტილ ქვეყნად იქცა, სადაც ხუთი ოპოზიციური ტელეარხი დახურეს და თერთმეტი პოლიტიკური ორგანიზაცია აკრძალეს.

ესეც შენი „დემოკრატია“ უკრაინულად.

უკრაინაში ყველაც ნაცვლად ზელენსკი ლაპარაკობს, ზელენსკი თუ „ისვენებს“, მაშინ მის სათქმელს ხან არესტოვიჩი ახმოვანებს, ხან პოდოლიაკი, ხან — კულება, რომელთა განცხადებების პათოსი მკაცრად არის შემოსაზღვრული იმ ტრაფარეტული ჩარჩოებით, რომელიც, როგორც ჩანს, სავალდებულო ნორმაა უკრაინის ხელისუფლების ყველა წარმომადგენლისთვის.

ვიღაც-ვიღაცებს ამერიკის კონგრესიდან თუ ევროსტრუქტურებიდან უკვე გაუჩნდათ კითხვა: სად მიდის ეს ჩვენგან გადმოგზავნილი მილიარდები, ეს დიდძალი სამხედრო ტექნიკა და სხვა სახის დახმარებები? აღწევს თუ არა ეს ყველაფერი დანიშნულების ადგილამდე და თუ აღწევს, რატომ გვაქვს ასეთი სავალალო შედეგები?

ამ კითხვაზე უკრაინის მთავრობას ჯერჯერობით ნათელი პასუხი არ გაუცია, თუმცა, ადრე თუ გვიან, ამის გაკეთება მას აუცილებლად მოუწევს.

არ არის სახარბიელო „ბიზნესი“ — თან კვდებოდე, თან ვალი ვალზე გედებოდეს, თან აღსადგენი რეების გადანაწილებით.

უკრაინამ უკვე გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი და უკვე შემოუშვა თავის ტერიტორიაზე პოლონეთის პოლიცია, რომელიც მას წესრიგის დაცვაში დაეხმარება თურმე.

პოლონეთსა და უკრაინას შორის ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობები არსებობდა — იყო დრო, როცა უკრაინაში სახელმწიფო ენა პოლონური ენა იყო და უკრაინის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ პოლონელები აკონტროლებდნენ, თუმცა იყვნენ სხვა მეზობელი სახელმწიფოებიც, რომლებსაც სხვადასხვა დროს ასევე დაპყრობილი ჰქონდათ უკრაინა.

ცხადია, პრეტენზიები მათაც აქვთ და ალბათ ისინიც შეეცდებიან, რაღაც სარგებელი ნახონ უკრაინის უბედურებიდან.

ყველა რაღაც მოგებას მოელის უკრაინის ომში ჩადებული ინვესტიციებიდან და უკრაინას ყველა ამ პრეტენზიების გათვალისწინება მოუწევს იმ შემთხვევაშიც, თუ გაიმარჯვებს და იმ შემთხვევაშიც, თუ დამარცხდება.

უკრაინელი ერი, როგორც ერი და უკრაინული სახელმწიფო, როგორც სახელმწიფო, სწორედ რუსეთის ძალისხმევით და დახმარებით ჩამოყალიბდა, თუმცა უკრაინელებს ეს ამბავი არ ახსოვთ ისე, როგორც არ ახსოვთ, რომ სლავიანელები არიან და იმ საერთო ფესვებიდან არიან აღმოცენებულნი, საიდანაც მათი სისხლისმიერი ძმები — რუსები.

უკრაინელების ნაწილს არ უნდათ, იყვნენ სლავიანელები, ანუ არ უნდათ, იყვნენ ის, ვინც სინამდვილეში არიან.

იქნებ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმ ტრაგედიისა, რომელიც უკრაინას დაატყდა თავს და რომელიც, არავინ იცის, რა საბედისწერო ფინალით შეიძლება დამთავრდეს.

●

ფაქტია, რომ 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რის გამოც მას აგრესორის და ოკუპანტის სახელი სრულიად სამართლიანად შეერქვა, თუმცა არავინ საუბრობს იმ საკითხებზე, თუ რა ამბები უძღვოდა წინ 24 თებერვალს, მთელი რვა წლის განმავლობაში.

ყველაფერი 2014 წლიდან დაიწყო, როცა უკრაინა დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით ქვეყნის სამხედრო პოტენციალი გაძლიერებას შეუდგა და ევროპის კონტინენტზე ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და მაღალ დონეზე აღჭურვილი არმიის შექმნას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც დროგამოშვებით სასტიკად უსწორდებოდა დონეცკისა და ლუგანსკის ახლადგამოცხადებული რესპუბლიკელების მოსახლეობას, ანუ საკუთარ მოქალაქეებს, რასაც უამრავი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა.

მერე იყო ე. წ. მინსკის შეთანხმება, თუმცა უკრაინამ ამ შეთანხმების არც ერთი მუხლი არ შეასრულა.

აშკარა იყო — უკრაინას არ სურდა სადავო საკითხების მშვიდობიანად გადაწყვეტა. უკრაინა რუსეთთან ღია კონფრონტაციის და დაპირისპირების გზას დაადგა, რაც, უნდა ვივარაუდოთ, გარე ძალების წაქეზებით მოხდა.

უკრაინას ჰპირდებოდნენ, რომ უპრობლემოდ გააწევრიანებდნენ ნატოში, რაც მას უსაფრთხოების გარანტიებს მისცემდა და მრისხანე მეზობლის აგრესიისგან საიმედოდ დაიცავდა, თუმცა ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ნატოს ხელმძღვანელობამ საჯაროდ განაცხადა, რომ ნატოში უკრაინის გაწევრიანების საკითხი საერთოდ არ მდგარა დღის წესრიგში.

არადა, რუსეთის მხრიდან ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო — ნატოში უკრაინის გაწევრიანების საფრთხე.

ის, რაც ომის დაწყების შემდეგ ითქვა, თუნდაც 22-23 თებერვალს რომ თქმულიყო, ეს ომი შეიძლებოდა საერთოდ არ დაწყებულიყო, რაც, როგორც ჩანს, გარკვეული ძალების გეგმებში არ შედიოდა.

ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის ომი დაწყებულიყო და ეს მიზანიც შესრულდა — რუსეთს სხვა გზა არ დარჩა, გარდა საომარი მოქმედებების დაწყებისა.

ამის შემდეგ სულ მალე ისიც გაირკვა, ვინ იყო ის გარკვეული ძალები, რომლებიც უკრაინას აგულიანებდნენ, არც ერთი ნაბიჯით არ დაეხია უკან.

მოგვიანებით ისიც გაცხადდა, რა მიზნები ამოძრავებდათ ამ ძალებს, როცა ამ ორ მოძმე და ერთმორწმუნე სახელმწიფოს, რუსეთს და უკრაინას, შეიარაღებული დაპირისპირებისკენ უბიძგებდნენ.

ამერიკამ და კოლექტიურმა დასავლეთმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ამ ომის პირველი ამოცანა იყო რუსეთის დასუსტება, რუსული სახელმწიფოს დაშლა და განადგურება, რაშიც მთავარი როლი უკრაინას უნდა შეესრულებინა და რუსეთს თავისი 250 000-იანი არმიით სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა დაპირისპირებოდა.

ზუსტად არავინ იცის, რას შეჰპირდნენ უკრაინას მისი კეთილისმყოფელები, რა ზღაპრული თამასუქები გასცეს, რა გრანდიოზული პერსპექტივების თვალისმომჭრელი სურათი დაუხატეს, თუმცა ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში გაირკვა, რომ რაღაც ისე ვერ იყო, როგორც უკრაინელებს ეგონათ.

რუსული ბომბები პანტაპუნტით ცვიოდა უკრაინის მიწაზე, ანგრევდა ქალაქებს, სოფლებს, ანადგურებდა სამხედრო თუ სამრეწველო კომპლექსებს, ხოცავდა ადამიანებს.

— ცა გადამიხურეთო, — სასოწარკვეთილი ხმით იხვეწებოდა ზელენსკი, მაგრამ ცივი უარი სტკიცეს, — ჩვენ რომ ცა გადაგიხუროთ, ეს ომში ნატოს პირისპირ ჩართვას და მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს, რასაც ვერ გავაკეთებთო.

— სამაგიეროდ, რუსეთს ისეთ სანქციებს დავუწესებთ და ისეთ ეკონომიკურ იზოლაციაში მოვაქცევთ, რომ ცოტა ხანში მთელი რუსული ეკონომიკა დანიგრევა და რუსეთი ომის გაგრძელებას ვერ შეძლებსო, — დააიმედეს ამერიკელებმა და ე. წ. კოლექტიურმა დასავლეთმა უკრაინელები.

სანქციები, თანაც ძალზე მკაცრი, მართლაც დაუწესეს რუსეთს, მაგრამ ვერც სანქციებმა იმუშავა.

უფრო მეტიც, სანქციები ბუმერანგივით უკან მოუბრუნდათ თვით ამ სანქციების დამწესებლებს — გაუფასურდა დოლარი, ევრო, პროდუქტების ფასმა კატასტროფულად იმატა, სამაგიეროდ, რუსული რუბლი დოლართან მიმართებაში ისეთი მყარი გახდა, როგორიც მისი არსებობის მანძილზე არასოდეს ყოფილა.

რა მიკვირს, იცით? ამ გლობალიზმის ეპოქაში, როცა ყველა სახელმწიფოს ეკონომიკა ერთმანეთსაა გადაჯაჭვული, ვის „გენიალურ“ თავში დაიბადა სანქციების დაწესების იდეა და ვინ დაარწმუნა თავისი პარტნიორები და, მათ შორის, უკრაინაც, რომ სწორედ სანქციები იყო ის ჯადოსნური საშუალება, რომელიც რუსეთს ხერხემალში გადატეხავდა?

როგორც სანქციების ამბავი ჩაფლავდა, ასევე ჩაფლავდა ზელენსკის მოქმედების მცდელობაც, რაშიც არესტოვიჩმა გერმანია დაადანაშაულა და მასაც და ყველა დანარჩენ სახელმწიფოებსაც, რომლებიც, მისი აზრით, რუსეთთან ფარულ თამაშებში არიან ჩართულები, ცხრასართულიანი გინება გაუგზავნა ღია ეთერიდან.

გინებით ომის მოგება რომ შეიძლებოდეს, გინება რუსებმა რომ

იციან, მაგას ჰქვია, მაგრამ არესტოვიჩივით ჯერჯერობით ისე არ გასჭირვებიათ, რომ ამ უკიდურესი ზომისთვის მიემართათ.

რით ვერ გაიგეს, რით ვერ მიხვდნენ მსოფლიო პოლიტიკის წამყვანი წარმომადგენლები, რომ დღეს, გლობალიზმის ხანაში, მთელი მსოფლიო ერთ ხომალდში ზის და ამ ხომალდის რომელიმე მგზავრისთვის სანქციების თუ სხვა სახის ეკონომიკური შეზღუდვების დაწესებამ, შეიძლება მთელი ხომალდი ჩაძიროს და ფსკერისკენ წაიღოს.

ამ სანქციების შედეგია ის, რომ უკვე ალაპარაკდნენ მოსალოდნელ ეკონომიკურ კრიზისზე და მოსალოდნელ შიმშილობაზე მთელ მსოფლიოში.

უკვე გაისმა რეპლიკები სხვადასხვა მხრიდან, რუსეთს ასუსტებთ თქვენ თუ მთელი მსოფლიოს დასუსტება და დამშევა გინდათ?

ამ რუსეთის დასუსტება-დასუსტებაში თქვენ თვითონაც რომ სუსტდებით, ამას ვერ გრძნობთ?

●

— რუსეთი უკრაინაში საშინელებებს სჩადის!

— რუსეთი უკრაინაში მშვიდობიან მოქალაქეებს ხოცავს!

— რუსეთი რასაც უკრაინაში აკეთებს, ეს ბარბაროსობაა!

— რუსეთმა უკრაინაში ქალაქები და სოფლები მიწასთან გაასწორა!

— რუსეთი უნდა დაისაჯოს! რუსეთი საერთაშორისო ტრიბუნალს უნდა გადაეცეს! — ასეთი მკაცრი შეფასებები ისმის მთელი მსოფლიოდან.

ცივილიზებული სამყარო აღშფოთებულია და სამართლიანადაც, თუმცა აქვე ისმის კითხვა: ნუთუ ამ ცივილიზებულმა სამყარომ აქამდე არ იცოდა, რომ, თუკი ომი დაიწყებოდა, ეს საშინელებები მოხდებოდა, რადგან ომი უდიდესი ბოროტებაა, ომი ბარბაროსობაა, ომი ადამიანებს ადამიანურ სახეს უკარგავს, რომელ ეროვნებასაც უნდა მიეკუთვნებოდნენ.

რატომ არ გააკეთა ცივილიზებულმა სამყარომ ყველაფერი იმისათვის, რომ ეს ომი არ მომხდარიყო, რატომ მოიქცა ეს ცივილიზებული სამყარო პირიქით და რატომ განაგრძობს პათეტიკურ მოწოდებებს, რომ უკრაინამ ომი არ უნდა შეწყვიტოს.

ამერიკა და კოლექტიური დასავლეთი ძველებურად განაგრძობენ დაპირებების გაცემას უკრაინის მისამართით, რომ ფულით, სამხედრო ტექნიკით დახმარებას გააგრძელებენ, ოღონდ უკრაინამ იომოს და სამშვიდობო მოლაპარაკებებზე არ წავიდეს.

თუნდაც მთელი უკრაინა გაწყვეტილა, თუნდაც მთელი უკრაინა ნანგრევების უდაბნოდ ქცეულა — ეს არავის ანაღვლებს, მთავარია, ომი არ გაჩერდეს, ცხედრებს ცხედრები მიემატოს, ნანგრევებს — ნანგრევები, ოღონდ, ომი გაგრძელდეს.

მუსიკას ის უკვეთავს, ვინც იხდის.

ამ „მუსიკასაც“ ამერიკა და კოლექტიური დასავლეთი უკვეთავს.

სიკვდილის მუსიკაა ეს, შემაძრწუნებელი, გამაოგნებელი თავისი სისასტიკითა და არაადამიანურობით.

ცივილიზებულო სამყაროვ, ესაა თქვენი ცივილიზებულობა, თქვენი ჰუმანურობა, თქვენი კაცთმოყვარეობა?

რუსეთი უკრაინაში საშინელებებს სჩადის, მაგრამ ეს ზუსტად იმ საშინელებების იდენტური საშინელებებია, რასაც ცივილიზებული სამყარო სჩადიოდა ერაყში, სირიაში, ლიბიაში, ავღანეთში, სხვაგან და სხვაგან.

XXI საუკუნეა და კაცობრიობა ქვის ხანის დროინდელი „ფილოსოფიით“ ცხოვრობს — უნდა გაანადგურო, მოკლა, დაანგრიო, დაიპყრო.

კაცობრიობამ ურთიერთობის სხვა ენა ვერ ისწავლა, გარდა ომისა...

ნუთუ არ დადგა დრო, კაცობრიობა ერთხელ და სამუდამოდ შეთანხმდეს: ომი ველურობაა, ომი სატანის მსახურებაა, ომი ათიათასების, ასიათასების, მილიონების მოკვლის და განადგურების ლიცენზიაა, რომელიც ყველაზე დიდ ცოდვას, ადამიანის მოკვლას „ლეგიტიმურს“ და „კანონიერს“ ხდის.

●

ამერიკა და კოლექტიური დასავლეთი მოგვიწოდებენ, ყველამ მხარი დაუჭიროს უკრაინას, ყველა რაღაცით დაეხმაროს, რომ უკრაინა გადარჩეს.

ერთადერთი გზა, რომლითაც უკრაინის და უკრანიელი ხალხის ხსნა და შველა შეიძლება, ეს არის ომის შეჩერება და მშვიდობა.

სხვა ყველაფერი ბოროტი დემაგოგია და ფარისევლობაა.

ომის შეჩერება — ეს არის უალტერნატივო გამოსავალი, რომელიც უკრაინასაც იხსნის და მსოფლიოსაც, რომელსაც მესამე მსოფლიო ომის საფრთხე ემუქრება.

ომი კი მან უნდა შეაჩეროს, ვინც ის დაიწყო — რუსეთმა, რუსეთი კი ამ ომს ვერ შეაჩერებს, სანამ მის სახელმწიფოს განადგურებით და სრული ლიკვიდაციით ემუქრებიან.

ამიტომ რუსეთთან დაპირისპირებულმა სახელმწიფოებმა, პირველ რიგში, ის რიტორიკა უნდა შეცვალონ, რაც რუსეთს საბაბს და მოტივაციას აძლევს, გააგრძელოს ომი.

ამ ომის შეჩერება ახლა, ამ წუთას, პუტინს ძალიანაც რომ უნდოდეს, არ შეუძლია, მაგრამ ამის გაკეთება შეუძლია ბატონ ბაიდენს და მან ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს, რადგან სასწორზე დევს არა მხოლოდ რუსეთის და უკრაინის, არამედ მთელი მსოფლიოს მომავლის ბედი.

თუ ბაიდენი მშვიდობისკენ არ გადადგამს ნაბიჯს და კვლავ გააგრძელებს რუსეთის დასაუსტებისა და განადგურებისკენ მიმართული უტოპიური სცენარის განხორციელებისკენ სწრაფვას, მაშინ მოვა დრო და პუტინთან ერთად მასაც მოუწევს პასუხისმგებლობის აღება იმ აპოკალიფსური შედეგების გამო, რაც ამ ომის გაგრძელებას მოჰყვება.

მსოფლიოს ბედი ახლა იმაზეა დამოკიდებული, მსოფლიოს მმართველ პოლიტიკურ ელიტაში გონიერ, ჭკვიან, წინდახედულ პოლიტიკოსებსა და შლეგებსა და შეშლილებს შორის რა თანაფარდობაა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გონიერები გადასძალავენ უგუნურებს და სამყაროს კატასტროფისგან იხსნიან.

●

ჩემი, როგორც ერთი რიგითი მოქალაქის, სრული მხარდაჭერა უკრაინელ ხალხს — მოტყუებულს, მსხვერპლად შეწირულს, სასიკვდილოდ გამეტებულს.

არ მეგულება საღ გონებაზე მყოფი ერთი ადამიანიც კი, რომელიც სულით ხორცამდე არ იყოს შეძრული და შეძრწუნებული იმ ტრაგედიით, რაც უკრაინაში ხდება.

დარწმუნებული ვარ, ასეთი ადამიანები ძალიან ბევრია თვით უკრაინელ საზოგადოებაშიც, რომლებსაც თავისი სამშობლო, ვიღაც-ვიღაცებივით, დასაღუპად არ ემეტებათ.

როგორც ვთქვით, მათი ხმა ჯერჯერობით არ ისმის, მაგრამ ამ ხმას აუცილებლად გავიგონებთ, რომელიც აუცილებლად გადაფარავს ადგილობრივი თუ უცხოელი ავანტურისტებისა და პროვოკატორების ხმას.

●

სულ სტყუილად მოუწოდებენ მსოფლიოს ლიდერები ვლადიმირ პუტინს, შეაჩეროს ომი და უკრაინიდან ჯარები გაიყვანოს.

ძალიანაც რომ უნდოდეს, პუტინს ამის გაკეთება არ შეუძლია (ამით დამთავრდება მისი ტრიუმფალური კარიერა).

დიახ, ერთადერთი კაცი, ვისაც ყველა ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ ეს აპოკალიფსური ომი დაამუხრუჭოს და მსოფლიო მოსალოდნელი კატასტროფისგან იხსნას, ეს არის ჯო ბაიდენი, რითაც ის კაცობრიობის ისტორიაში შევა, როგორც გმირი, როგორც კაცობრიობის მხსნელი და გადამრჩენელი.

რა გზას აირჩევს ბაიდენი? გახდება XXI საუკუნის გმირი თუ პუტინთან ერთად იმ პასუხისმგებლობას გაიზიარებს, რაც ომის გაგრძელების შემთხვევაში მასაც აუცილებლად დაეკისრება...

თუ მსოფლიოში პროცესები ჩვენთვის სასარგებლო სცენარით წარიმართა, საქართველოს აქვს შანსი, ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს

გვესაუბრება
პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი
რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, გვეუბნებიან: უკრაინის ბედი საქართველოში წყდებაო. რეალურად, სად წყდება ჩვენი ბედი?

— რა თქმა უნდა, უპირველესად, საქართველოს ბედი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. 1919 წელს რუსეთში რევოლუცია მოხდა. მაშინდელი მენშევიკური მთავრობის ისტორიკოსები როგორც ამბობდნენ: ქართველები დამოუკიდებლობას არც აპირებდნენ. ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც ერთი პოლიტიკური ხაზის გამტარებელნი იყვნენ. ქართველებს, ისინი, მხარდამჭერებად ეგულებოდათ და ვერ ხვდებოდნენ: რა საჭირო იყო დამოუკიდებლობა. აკაკიმ ილიას საფლავზე თქვა: თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნებიო. მენშევიკები ბოლშევიკებთან ერთად, ფაქტობრივად, ილიას სიკვდილის ავტორები იყვნენ. ამ პერიოდში, ევროპელებს ჩვენმა იმდროინდელმა მთავრობამ დახმარებაზე უარი უთხრა: თქვენი ჩარევა არ გვინდა, რუსები ჩვენი ძმები არიანო. ამგვარად, დამოუკიდებლობა წვალებ-წვალებით მივიღეთ ისე, რომ საქართველოს მთავრობას არ უნდოდა. შემდეგ, უნიკალური კონსტიტუცია შევქმენით, რომელიც თავისი სულისკვეთებით იმდროინდელ ევროპისას უთანაბრდებოდა. მერე, 1921 წელს „წითელმა არმიამ“ დაგვიპყრო. გავიდა დრო და 1991 წელს დამოუკიდებლობა ისევ მოვიპოვეთ. ბევრი სხვადასხვა ვერსია არსებობს, მაგრამ ჩვენი წვლილი დამოუკიდებლობის მოპოვებაში უნიკალური გახლდათ. შემდეგ, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა, ყველამ, დამოუკიდებლობა მოიპოვა. თუმცა, ჩვენ, ამისთვის, სისხლი გავიღეთ. საქართველოს საინტერესო ბედი აქვს — ცხოვრებას ყოველთვის რაღაც საინტერესო მოაქვს, თავის დროზე, ორჯერ, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და გამორიცხული არ არის ახლაც, რაღაც სიახლეები მოიტანოს. ერვოპულ ოჯახში საქართველოს მიღებაზე გადაწყვეტილება დაჩქარდა. ეს, მეტ-ნაკლებად, უკრაინის ბედზეა დამოკიდებული. თუ მას მიიღებენ, საქართველოს და მოლდოვასაც მიიღებენ. ეს ის ხაზია, რა შემთხვევაშიც მშვიდად უნდა ვიყოთ და პროცესებს ხელი არ შევუშალოთ. არსებობს მეორე ხაზიც, რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედებულია სანქციები, რაც ამ ეტაპზე, მთელი სისრულით არ არის ამუშავებული. ამჟამინდელი მდგომარეობით, რუსები თვითმფრინავებით ვერ გადაადგილდებიან. შემოდგომაზე უარესი სიტუაცია იქნება. თუ რუსეთში სიტუაცია გაუარესდება, დიდი შანსია, რომ მან ოკუპირებული ტერიტორიები — აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი ვეღარ არჩინოს და მოუწიოს დაფიქრება: თუ როგორ მოიქცეს. ამ ფიქრისას, პოლიტიკურ პერსპექტივაში, ერთ-ერთ ვერსიად, შეიძლება საქართველოც ამოტივტივდეს. თუკი ეს მოხდა, ტერიტორიულ მთლიანობასაც ისე აღვიდგენთ, რომ ამაში ჩვენი დიდი დამსახურება არ იქნება. ყველა ამ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ჩვენგან, მავანი ომში ჩართვას ითხოვს, რაზეც საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა. ხაზგასმით ითქვა ისიც, რომ აფხაზებთან და ოსებთან იარაღით არ მივალთ! კონფლიქტები მშვიდობიანად უნდა გადავწყვიტოთ. უკრაინელები მოგვიწოდებდნენ: ტერიტორიები დაიბრუნეთო. ეს ნიშნავდა, რომ აფხაზებთან და ოსებთან ხელახალი ომი უნდა წამოგვეწყო, რაც კიდევ ძალიან დიდი ხნით გადადებდა მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების პერსპექტივას. მადლობა ღმერთს, ხელისუფლებამ წინდახედულობა გამოიჩინა და ამ განწყობებს არ აჰყვა. როგორც ჩანს, მიუხედავად პროცესების დუღილისა, ხელისუფლება ისეთ წინდახედულ ნაბიჯებს გადადგამს, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ პერსპექტივებს ნაკლებად დააზიანებს. ესაა, ჩვენი ამოცანა. მთავარია, ქვეყანაში საქმე დესტაბილიზაციის შექმნით არ გავაფუჭოთ, თორემ, ვიმეორებ: პროცესები ისე მწიფდება, როგორც ქართულ ინტერესებს აწყობს.

— „ნაციონალებს“ უცხოელი ნაცებიც აჰყვნენ და ქვეყნის ამოყირავებას ცდილობენ. ეს ხალხი აღარ უნდა მიეჩვიოს, რომ საქმე დამოუკიდებელ ქვეყანასთან აქვთ?

— სამწუხაროდ, უნდა შევეჩვიოთ, რომ პატარა ქვეყანა ვართ და ჩვენი ბედი ხან ისპანეთში გადაწყდება, ხან მოსკოვში, ხან ვაშინგტონში. ჩვენი ბედი, ყოველთვის, დამოკიდებული იქნება რიგ ქვეყნებსა და ქალაქებზე. არაფრით დაგვიმსახურებია ის, რომ პოლიტიკურად სრულიად დამოუკიდებლები ვიყოთ. აგერ, ხომ ხედავთ, ფინეთი და შვედეთი ნატოში აპირებენ შესვლას. მათ, დამოუკიდებლობის შეეშინდათ. არადა, ორივე ჩვენზე დიდი და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ქვეყნებია. ისინი, გაცილებით ღონიერნი არიან, მაგრამ რუსული საფრთხის წინაშე მარტო დარჩენა, მათთვისაც სარისკო აღმოჩნდა. ამ მაგალითით მაინც ვიხელმძღვანელოთ, როცა გული გვწყდება იმაზე, რომ ჩვენი ბედი სხვაგან წყდება. ფინეთის ბედიც, გამოდის, რომ მოსკოვში წყდება და ახლა, ბრიუსელში გადაწყდება. იმიტომ, რომ ისინიც რუსულ საფრთხესთან მიმართებით, პატარა ქვეყნები არიან. სამწუხაროდ, დიდი ქვეყნების გარემოცვაში, ყოველთვის, ვიყავით და ახლაც, ასეა. დიახ, სავალალოდ, ახლაც, დიდი ქვეყნების კაპრიზებს უნდა ვადევნოთ თვალი და ანგარიში გავუწიოთ.

— თუმცა, რაც დღეს უკრაინას სჭირს, ჩვენ ეს, უკვე, გამოვიარეთ, როცა დავიჩემეთ ნატოში შესვლა გვინდაო. ისე გამოვიდა, რომ 2008 წელს საკუთარ თავს პროვოკაცია მოვუწყვეთ.

— ამ პროვოკაციას საქართველო როგორ შეხვდა, ეს უფრო სკურპულოზური ანალიზის საგანია. შეიძლება ისიც ვიგულისხმოთ, რომ საქართველო ამ გეგმაში მხოლოდ მსხვერპლის როლში იყო. ან, მეორე — საქართველოს მაშინდელი მმართველები რუსეთის პარტნიორები გახლდნენ იმ მიმართულებით, რათა ეს სცენარი რეალიზებულიყო. კარგი კვლევაა საჭირო, რათა დადგინდეს: ამ ორიდან რომელს ჰქონდა ადგილი. სავარაუდოდ, უფრო მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე იმიტომ, რომ ქართველებმა აქეთ კოდორი დააცარიელეს, იქეთ ახალგორი მიამატეს. ანუ, წინასწარ გადადგეს ნაბიჯები იმისთვის, რომ მარცხის შემთხვევაში, აფხაზებსა და ოსებს უფრო დიდი ტერიტორია დარჩენოდათ. ყოველივე, სავარაუდოს ხდის, რომ ქართველები მარცხისთვის მოემზადნენ.

— ცოტა წინა წლებში გადავინაცვლოთ. 90-იან წლებში გმირობა ჩავიდინეთ და საქართველო ოკუპანტი რუსებისგან გავათავისუფლეთ. შედეგად, რა მივიღეთ? დამოუკიდებლობა ჩვენმა მეზობლებმაც მიიღეს, თანაც ისე რომ ტერიტორიები არ დაუკარგავთ.

— ეს შემთხვევით არ მომხდარა. შეიძლება ასეც ითქვას: ტერიტორიები დავკარგეთ იმიტომაც, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლას მოუმზადებელი შეხვდა და სხვადასხვა სცენარი გააზრებული არ ჰქონდა. მათ შორის, ის, რომ რუსეთს შეიძლებოდა კონფლიქტები გაეღვივებინა, რათა დასავლეთი კავკასიაში არ შემოსულიყო. მართლაც, რუსეთთან მიმართებით, მაშინ გაჩნდა ტერმინი „ცეცხლოვანი ქამარი“ იმიტომ, რომ მან ყველგან კონფლიქტები გააჩინა, რათა დასავლეთი თავის კაპიტალით არ შემოსულიყო. ამ გზით აპირებდა საბჭოთა კავშირი დაეშალა, ოღონდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გავლენა შეენარჩუნებინა. შედეგად, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ასე, რომ მარტო ჩვენ არ ვართ ტერიტორიადაკარგულები. ასეთი იყო აზერბაიჯანიც, შუაზიის რესპუბლიკები, იგივე, პრობლემები, მეტ-ნაკლებად, ჰქონდა ბალტიისპირეთსაც, თუმცა იგი, გადარჩა.

— რუსეთი რაღაც ეტაპზე შეჩერდება, ბოლომდე ხომ ვერ გადაბუგავს უკრაინას. მერე, რა ხდება?

— ეს, ძალიან საინტერესო თემაა. დანარჩენ კონფლიქტებზე პუტინის ინტერესი, მისი ლოგიკა, მეტ-ნაკლებად, იკითხებოდა. ანუ, კონფლიქტი საშუალებაა, რათა გავლენა შეინარჩუნოს და ა.შ. დღეს, მთელი პრობლემა ესაა — რად უნდოდა პუტინს უკრაინასთან ომი? — ეს სრულიად გაუგებარია. დიახ, რად უნდოდა არამარტო ეს ომი, არამედ 2014 წლის მოვლენების დატრიალება. ეს იცით, რატომ არის გაუგებარი? — ამით, მან, ფაქტობრივად, სლავური დიდი იმპერიის შექმნის იდეა დაასამარა. კი ბატონო, ყირიმის ნახევარკუნძული რუსებმა ძალიან ეფექტურად აიღეს ისე, რომ თოფი არ გაუსვრიათ, მაგრამ სტრატეგიულად ეს რაში სჭირდებოდათ მაშინ, როცა ამ ქმედებით სლავური დიდი სახლის იდეა გაფუჭდა. ამაზე, პასუხი არ არის. საერთოდ, დიდი ეჭვი მაქვს, რომ კაგებეს თანამშრომლებს სტრატეგიული აზროვნება ისედაც არ აქვთ. მათი პროფესიული თავისებურებაა ის, რომ ზემდგომი რაღაცას უბრძანებს და უნდა შეასრულონ. სტრატეგია მას სჭირდება, ვინც ბრძანებას გასცემს. ყველას ეგონა: სტალინის სიკვდილის მერე, ხელისუფლების სათავეში ბერია მოვიდოდა, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. პირველი პირობა სულ სხვაა და სტრატეგიული ხედვა — სხვა, რაც მგონი არც პუტინს აქვს. ისიც, ფონს გასვლას, ოპერატიული აზროვნებით ცდილობს.

— ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე განაცხადი შევიტანეთ, მაგრამ გვარამია რომ ციხეშია?

— ევროკავშირის წევრობის საკითხი გვარამიათი არ დამდგარა. ეს უკრაინის პროცესმა მოიტანა და ასევე, რუსეთთან მსოფლიოს დაპირისპირებამ. თუ ამ სტატუსს მივიღებთ ან დავკარგავთ, ეს ისევ ამ ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული და არა საქართველოს შიდა პროცესებზე.

— კელი დეგნანი, ირიბად, საკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს. რამდენად სამართლიანია ეს მოთხოვნა?

— ვფიქრობ, დეგნანს ზედმეტი მოსდის. საკაშვილი ცამდე მართალიც რომ იყოს, ეს სასამართლომ უნდა დაასაბუთოს. ნახეთ, რა სიტუაციაა: დეგნანი და სხვანი ჩაგვჩიჩინებენ დამოუკიდებელი სასამართლო უნდა გქონდეთო და ამადროულად, გვეუბნებიან: საკაშვილი გაათავისუფლეთო. ე.ი. პოლიტიკური ნებას ავლენენ, რათა ექსპრეზიდენტი გავათავისუფლოთ. თუკი ეს მოხდება, მაშინ ხომ გამოჩნდება, რომ სასამართლო დამოუკიდებელი არ არის. ოღონდ, ამჯერად, უკვე, სასამართლო დეგნანისგან დამოუკიდებელი არ არის. გაიძახიან: სასამართლო გადაწყვეტილებებს ივანიშვილის კარნახით იღებსო. ეს რას ნიშნავს? — თუნდაც ასე რომ იყოს, ე.ი. ივანიშვილისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს სასამართლო და კელი დეგნანისგან — არა?! თუ სასამართლო კელი დეგნანზე დამოკიდებული იქნა, ე.ი. ეს კარგია და მისაღებია?! გაუგებარი ლოგიკაა.



თამარ შველიძე
555 23 28 24

მუყაოს ქალაქი „ნაციონალებისთვის“

შენა, როგორა ჰფიქრობ, მიხა როგოა, მართლა ფინთად არი? მეკითხებიან პერიოდულად, როცა სოფელში ჩავალ. თუ ხასიათზე ვერა ვარ, მოკლედ მოვუჭრი ხოლმე, ერთი მაგისიც-მეთქი... თუ ხასიათზე ვარ, მაშინ გავუბამ ხოლმე ბაასს შემკითხველებსა და ვცდილობ, ავუხსნა ხოლმე მიხას რეალური მდგომარეობა. ისე, რაღა დაგიმალოთ... ამოდონა ექიმები ეხვევიან, ამოდონა საზოგადო მოღვაწეები შედიან, გამოდიან, მსჯელობენ, ვერაფერი გაუგიათ, ზოგი რას ბოდიალობს, ზოგი - რას, მე ვინ ვარ, რანაირად უნდა ავხსნა მისი ზუსტი მდგომარეობა? მე მხოლოდ ის ვიცი, რას ამბობენ შინაურნი, გარეულნი, ამხანაგნი, მშობელნი, ძმანი, ცოლნი თუ შვილნი და იქიდან გამომაქვს დასკვნა. აი, მაგალითად, მამალი „ნაციონალი“ ზვიად კუპრავა მიხეილ სააკაშვილის ტვინის რენდგენის ფოტოებს აქვეყნებს და წერს (სტილი დაცულია):

„გავა წლები და ამ კვლევებზე მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტები იმუშავებენ თუ რა ფენომენი იყო ეს. ყველაზე მოაზროვნე ტვინი მსოფლიოში. ველურმა ბრბომ არ იცის რას სჩადიან! უნდა გაუძლო... უნდა გადარჩე. მიხეილ სააკაშვილი ქართველი გენიოსი“.

ჰოოო... რა გითხრათ, აბა? ესეც ძაან მაგარი სამკურნალოა, მაგრამ მკურნალობას კი აქვსდა აზრი? ეჭვი მეპარება. თქვენი არ ვიცი და... მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ესენი ერთი პენისით არიან გაკეთებულები. ჩემი ნება რომ იყოს, ამათ მუყაოს ერთ ბუტაფორიულ ქალაქს ავუშენებდი ვარდისფრად შევუღებავდი, შემოვუღობავდი, ჩავასახლებდი და ვეტყოდი, რომ ეს არის მათი სამშობლო ლაზიკა. რა თქმა უნდა, იმპერატორად ავარჩევინებდი მიხეილ სააკაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრად დავანიშნინებდი ზვიად კუპრავას, უშიშროების მინისტრად - ელიკო კილაძეს, კულტურის მინისტრად - თაკო ჩარკვიანს, პრემიერ-მინისტრად - ჭიჭე (ჯუნიორ) ვაშაძეს, საგარეო საკითხებს ბადრი შუბლაძეს ჩავაბარებდი, ამ ტიპს მთელი ცხოვრება რუსეთში, „გაზპრომში“ უმუშავია, დიდი გამოცდილება ჰქონია. მოკლედ, თანამდებობებს გაინაწილებენ, ჩემი დახმარებაც არ დასჭირდებათ, თავიდან ერთ ხანობას კი დაირევიან, სანამ ოჯახის წევრებს დააბინავებენ, მაგრამ მერე დაწყნარდებიან და დაიწყებენ საკუთარი ქვეყნის აღმშენებლობას. იყვნენ, კაცო, შევუქმნათ მუყაოს ოაზისი, ვამყოფოთ სრულ ბედნიერებაში. ეს ჩემი ვერსიაა, მე ჩემი ვთქვი, აუცილებელი არ არის, ასე მოვიქცეთ. ყოველ შემთხვევაში, ქალაქი თუ არა, ერთი ფართე (ვიწროში ვეღარ დაეტევიან) ფსიქიატრიული მაინც უნდა ავუშენოთ. ერთგან იქნება თუ მეორეგან, თლა „უმფროსად“ სააკაშვილი უნდა წამოვსვათ, თორემ მაგან განცდები და ტკივილები იცის, ღმერთმა ყველას გაშოროთ.

სხვათა შორის, ზვიად კუპრავამ სააკაშვილის ტვინის რენდგენის ფოტოები რომ გამოაქვეყნა, გამადიდებელი შუშით, ანუ ლუპით დავაკვირდი და არ მომეწონა, რაღაცნაირი ტვინი ჰქონია, გეგონება შუაზე გაჭრილი ფორთოხალიაო. რავი, შეიძლება ესენი გვატყუებენ კიდევაც და მართლა შუაზე გაჭრილი ფორთოხლის ან საზამთროს სურათებსა გვტენიან.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, ზვიად კუპრავას მტკიცებულებითა და გაგებით, ყოფილ პრეზიდენტთან დაკავშირებით ძალიან მძიმე ვითარებაა:

„თუ თვის ბოლომდე სააკაშვილი არ იქნება გადაყვანილი სამკურნალოდ უცხოეთში, შეუქცევადი პროცესები ბუნებრივად დაიწყება... ქვეყანა დუღს! სუპერ სახელმწიფო უკრაინა ამბობს, რომ ივანიშვილი რუსი ოლიგარქია და ის, რუსი ოლიგარქი მართავს საქართველოს ხელისუფლებას! სად არის ივანიშვილი?

არ აპირებს კითხვებზე პასუხის გაცემას“?!

გაიგონეთ? თვის ბოლომდე მოგვცა დრო, თუ არ გადაიყვანთ უცხოეთში, შეუქცევადი პროცესები დაიწყებაო. იცით, რას ნიშნავს შეუქცევადი პროცესები? ხალხი გამოცვივდება ქუჩაში, რუსთაველზე გაიშლება კარვები, ლეიბები, ბალიშები, მუთაქები... გაცოფებული ადამიანები გამოიტანენ თოხებს, ჯოხებს, წერაქვებს, მათრახებს, შურდულებს, მოაგროვებენ ქვებს, გორახებს, დაუშენენ ხელისუფლებას და დაამხობენ. ეს არ მოხდება ერთ დღეში, ეს გაგრძელდება დიდხანს და ექნება შეუქცევადი ხასიათი!

განა მე ვამბობ ამას? არა, ამას ამტკიცებს წინასწარმეტყველი ზვიად კუპრავა, ეგრე იქნებაო... რადგან ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობააო. სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას მიერ შეგზავნილი ექიმი, ვინმე ლევან ფერაძე ყოველდღე გამოჰყავთ ტელევიზორში და ალაპარაკებენ, სააკაშვილს ფსიქიკური აშლილობა აქვს, მოწყენილია, ფეხზე ძლივს დგება და წერაც უჭირსო. ეტყობა, ბატონმა ექიმმა არ იცის, რომ მიხას წერაკითხვა ყოველთვის უჭირდა, მაგის ბატიფეხურს სპეციალური მთარგმნელობითი კოლეგია სჭირდება. როდესაც ჩვენ მუყაოს ქალაქს ან ფსიქიატრიულს ავაშენებთ, მე ყველანაირად ვეცდები, ეს ექიმი მთავარ მკურნალად დაინიშნოს, ამათ სხვა არ შეეფერება.

პარლამენტარი ეკა ხერხეულიძე, რომელიც შეთავსებით სააკაშვილის პირად ადიუტანტად მუშაობს, დიდი მონდომებით გვიყვება, ტუსაღს მარტო დარჩენისა ეშინიაო. ჩემი მოსაზრებით, მას საკუთარ თავთან დარჩენისა ეშინია, წარსულის გახსენებაზე ჯერ ელეთი ემართება, შემდეგ კი მელეთი. ეს ბუნებრივია, როცა ამდენი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა შენს კისერზეა, ღამე მარტო ვერ დარჩები, ან ეკა ხერხეულიძე უნდა გეჯდეს გვერდით, ან კიდევ დედული გიული.

ჰო, იგივე ეკამ კიდევ იმით დაგვამუნათა, თქვენ იცით, ვის კლავთო? ვისა და იმ ადამიანს, ვინც საქართველოში სიკვდილით დასჯა გააუქმაო. ამ ქალმა ან არ იცის, ან კიდევ არ უნდა იცოდეს, ორივე შემთხვევაში უვიცი გამოდის. ქალო, სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი გამოაცხადა ზვიად გამსახურდიამ. ეს მოხდა 1991 წელს. საქართველოში სიკვდილით დასჯა ოფიციალურად გაუქმდა 1997 წლის 11 ნოემბერს, მანამდე იყო მხოლოდ მორატორიუმები. მაშინ საქართველოს პრეზიდენტი იყო ედუარდ შევარდნაძე, და არა მიხეილ სააკაშვილი!

აი, ამიტომ ვამბობ, ავუშენოთ ამათ მუყაოს ქალაქი, სადაც დასხდებიან „გენიოსები“ და საბოლოოდ დაადგენენ, რომ მიხამ მხოლოდ სიკვდილით დასჯა კი არ გააუქმა, სამყაროც შექმნა შვიდი დღის განმავლობაში. არა, ექვსი დღის განმავლობაში შექმნა და მეშვიდე დღეს დაისვენა.

ჰო, კიდევ ისა... იმ ქალაქსა თუ ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰყავდეს დედა დედოფალი, ორი აზრი არ არსებობს, ამ თანამდებობაზე ქალბატონი გიული გამწესდება. იგი ყველანაირად მზადაა, ეს უდიდესი მისია იკისროს და ჭაპანიც აიღოს საკუთარ თავზე, მაგრამ ერთი მავნე ჩვევა აქვს, როგორმე უნდა დავავიწყოთ... დადის, ხალხო, ეს ქალი და გაბმულად მოსთქვამს, მიშა ფაქტობრივად აღარ არი, გაქრა, მალე მოკვდებაო... ვერ ჭამს და შესაბამისად ვეღარ დადისო, ფეხზე ვერ დგებაო... კი გადმოიყვანეს ამ კლინიკაში, ძალიან მომწონს, მაგრამ ეს არის დროებითი ღონისძიება, მერე ისევ ციხეში უპირებენ დაბრუნებას, სადაც უსათუოდ მოკვდება, თუ მანამდე არ მოკვდაო.

ეგეთზე იტყვიან ხოლმე კახეთში, ენა-ყბა ააყოლაო.

შეღონდა მიხა, სხვა რომ აგაყოლებს ენასა და ყბას, ჯერ ეგ რა არი და ახლა დედის აყოლებული რავარია? იფიქრა სააკაშვილმა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, საზოგადოებისთვის წერილი გამოეგზავნა, რაკი ჩემი ჯანმრთელობით ბევრი სპეკულირებს, პირადად უნდა გესაუბროთ ღიადო. ხო იცით, მე პრეზიდენტობის პერიოდშიც ძაან ღია და გახსნილი ვიყავიო... იმდენად ღია, რომ ჩემს ამ ფენომენს მომავალი თაობები შეისწავლიან მომდევნო საუკუნეებშიო:

„ხერხემალზე დამიდგინეს ტრავმა, რომელიც დიდი ალბათობით, გლდანში ძალის გამოყენებით გადაყვანისას მივიღე. ეს ტრავმა, როგორც მივხვდი, საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას. მაქვს ზურგის არეში ძლიერი ტკივილები და დღეში რამდენჯერმე მიკეთებენ ტკივილგამაყუჩებელ ნემსს. მაქვს ძლიერი ტრემორი და თავბრუსხვევა. სულ უფრო რთულად ვიმორჩილებ კიდურებს, განსაკუთრებით მარცხენა ხელს. მაქვს მუდმივი ძლიერი ტკივილი ქვედა კიდურებში. ნეიროქირურგმა, რომელმაც გამსინჯა, გამოთქვა ვარაუდი, რომ კუნთები შეიძლება მალე ჩაიკეტოს და შემდეგ მისი აღდგენა შეუძლებელი იქნება. არ ვიცი, ეს ზუსტად რას ნიშნავს, მაგრამ ის, რაც ვიცი, ნამდვილად ასეა, რომ სულ უფრო მიჭირს გადაადგილება და ძირითადად წოლით რეჟიმში ვიმყოფები. ასევე თავის ტვინში დადგინდა გარკვეული ცვლილებები, რის შესახებაც მე ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს . ამ ყველაფერს ემატება რამდენიმე ათეული დღის განმავლობაში საკვების სრული მიუღებლობა. საქმე იმაშია, რომ მხოლოდ მოწოდებებით, რომ არ ვიწვე და ვიკვებო საქმე არ სწორდება, თორემ ვინც მიცნობთ, ყველამ კარგად იცით, რომ ვერტიკალური მდგომარეობა არ მახასიათებდა, არც უმადობას ვუჩიოდი ოდესმე. საჭიროა პოლიტიკისგან სრულად დაცლილი მკურნალობა, რისი მიღება საქართველოში ამ ეტაპზე შეუძლებელია“.

როგორი მაზალოც გახლავთ, ისეთივე მაზალო რაღაცებს იწერება - ვინც მიცნობთ, ყველამ იცით, მე ვერტიკალური მდგომარეობა არ მახასიათებდაო. ეტყობა, უნდა დაეწერა, ჰორიზონტალური მდგომარეობა არ მახასიათებდაო, მაგრამ სიმართლე წამოსცდა... ადამიანს ამდენი ცოლები, საყვარლები, ბოზები და მასაჟისტები რომ გეყოლება, ვერტიკალურობა აღარ გახასიათებს, ჰორიზონტალურ, ანუ აყირავებულ მდგომარეობაში უფრო მეტ დროს ატარებ.

მეორე მაზალოობა - ჩემთვის საჭიროა პოლიტიკისგან სრულად დაცლილი მკურნალობა, რომლის მიღებაც საქართველოში ამ ეტაპზე შეუძლებელიაო. ჰო, პოლიტიკისგან დაცლილად მკურნალობენ გერმანიაში, საფრანგეთში, ან კიდევ ბებიამისის ტრაკში! საქართველოში შეუძლებელია, გამიშვით, გლდანიდან რუსთავში რომ გადმომიყვანეს, ხერხემალი დამიზიანეს, ქირურგიული ჩარევაა საჭიროვო.

დედა დედული წითელ-ყვითელ კაბებში „გამოკუნწლულა“ და კვლავაც მოსთქვამს, ჩემი შვილი აღარ არი, მალე მოკვდებაო. კი იცვამს სამხიარულო კაბებსა და „კასტუმჩიკებს“, მაგრამ ფაქტობრივად ყვავის როლს ასრულებს, თავისსავე გაფუჭებულ „ვაჟკაცს“ ზემოდან დასჩხავის.

9 გვ.

ნაცები არც საპარლამენტო ოპოზიციაა და არც პოლიტიკური, არამედ გახლავთ საქართველოს ოპოზიცია

გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:

— ქალბატონო ნანა, დღეს, აქტიურად განიხილება: გავხდებით თუ არა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. ნაცების აზრით: გვარამიას ციხეში ყოფნა ევროინტეგრაციის კურსის საბოტაჟს ნიშნავს. თქვენ, რა მოსახრება გაქვთ?

— როცა დესტრუქციულ, დამნაშავე ძალას ასე შეაგულიანებ, მოაძლიერებ, ყველაფერს აპატიებ, საბოლოოდ, სწორედ ამ შედეგს მიიღებ. თურმე, ნიკა გვარამია დიდი ჟურნალისტია, რომელსაც ჩაგრავენ და მისი დაჭერით, თავისუფალი სიტყვა იზღუდება. არადა, მან ბევრი უკადრებელი რამ იკადრა, მაგრამ მას პასუხიც არავინ მოსთხოვა, ამიტომ, ახლა, დიდ გულზეა. ხომ გვახსოვს, ქუჩაში ქალს ხელი რომ გაარტყა ყველას დასანახად, კამერების წინ. გარდა ამისა, ეკრანიდან კონკრეტულ პირებს უკანასკნელი სიტყვებით შეურაცხყოფდა. შეიძლება პოლიტიკოსი ხარ, მაგრამ ადამიანობა, ღირსება ხომ არ უნდა დაკარგო. ეს ყველაფერი სამარცხვინოა! „ნაციონალები“ ამდენს რომ ბედავენ, ეს სწორედ „ქართული ოცნების“ ბრალია, რომელმაც დამნაშავეებს თავის დროზე არ მიუჩინა ადგილი. შემირცხვენია ის ევროპა, რომელიც ნიკა გვარამიას გამო საქართველოს ევროკავშირში არ მიიღებს. კარგად დაფიქრდნენ: რომელ სტანდარტში ჯდება გვარამიას საქციელი — პოლიტიკურ, ჟურნალისტურ, ადამიანურ?! ან იქნებ, პოლიტკორექტულობით და ტოლერანტობით გამოირჩევა?! დიახ, დაგვისაბუთონ: რომელ სტანდარტში ჯდება ნიკა გვარამიას ქცევები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლევან ბერძენიშვილი ჯერ ერეკლე მეორეს დაესხა თავს, მერე, საერთოდ, განაცხადა: მარტო გია ვოლსკის გამომეტყველება კმარა, რათა ევროკავშირში აღარ მიგვიღონო. ეს კაცი სარკეში საერთოდ არ იყურება?! აბა, მისი გამომეტყველება არის ევროპა? ევროპა — ბერძენიშვილის გამომეტყველებით, საქართველოში არავის უნდა. ნუ ჰგონიათ, რომ დაგვავიწყდა რა ხდებოდა ქვეყანაში მათი ხელისუფლებაში ყოფნისას. რასაც ნაცები აკეთებდნენ, ეს თუ არის ევროპული სტანდარტი, ასეთ შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობამ ევროპულ ორიენტაციაზე შეიძლება, საერთოდ, უარი თქვას. დიახ, ნაცები ევროპას, ნატოს გაიძახოდნენ და ამ დროს, სრულიად ანტისახალხო პოლიტიკას აწარმოებდნენ. ჩვენ, ევროპელობა არავისგან გვესწავლება — ევროპის ის ბოლო გოდოლი ვიყავით, სადაც მუსულმანური შემოსევების ტალღა ეხეთქებოდა. ეს დარტყმები საკუთარ თავზე რომ არ აგვეღო, დღეს, ევროპა ქრისტიანული არ იქნებოდა. იმიტომ, რომ ეს ტალღა, სწორედ, აქ სუსტდებოდა.

— ოპოზიცია მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევს — დასავლეთში დარბის, საკუთარ ქვეყანას ლანძღავს, აბეზღებს...

— თუ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება საქართველოს ევროკავშირში გააწევრიანებს, მერე ვის, რაში დასჭირდება ეს სრულიად გაუგებარი არსებები, რომლებიც საკუთარ თავს პოლიტიკოსებს უწოდებენ, მმართველმა ძალამ კი, მათ, სამწუხაროდ, ოპოზიცია დაარქვა. ნაცები არც საპარლამენტო ოპოზიციაა და არც პოლიტიკური, არამედ ეს გახლავთ საქართველოს ოპოზიცია. აი, რაშია მთელი უბედურება.

— ნაცების მიზანი გასაგებია, მაგრამ რა უნდათ უცხოელ ნაცებს — ფონ კრამონს, ფოტიგას, ბლინკენს და ა.შ. ასე რატომ ცდილობენ ხელისუფლების ამოყირავებას და ამ ძალის უკან დაბრუნებას. განა, არ იციან რას სჩადიოდა ეს რეჟიმი 9 წლის მანძილზე?

— რა თქმა უნდა, მშვენივრად იციან, მაგრამ რუზველტის სიტყვებს შეგახსენებთ, რომელიც ერთ-ერთ სამხრეთ-ამერიკელ დიქტატორზე თქვა: „შეიძლება იგი ძაღლისშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლისშვილიაო“. დაიღალა საქართველო მათი ძაღლისშვილებით, რა. ეს ხალხი უცხოელ ნაცებად მარტო იმიტომ კი არ იწოდებიან, რომ „ნაცმოძრაობას“ მხარს უჭერენ, არამედ თავადაც მსგავსი ფსიქოლოგიის არიან. თვალსაჩინოებისთვის გეტყვით: ტეხასის შტატში როცა სკოლაში სროლა ატყდა და ბავშვები, მასწავლებლები დაიღუპნენ, ხომ გახსოვთ. ამ დროს, ვკითხულობ ბაიდენის განცხადებას: ოდესმე, ხომ უნდა დამთავრდეს იარაღის ლობისტების პარპაშაო. უცებ, ვიფიქრე: ამას უკრაინაზე ამბობს-მეთქი. იმიტომ, რომ რაც უკრაინაში ხდება — უზღვავი იარაღის მიწოდება, სწორედ, ეს არის იარაღის ლობისტების პარპაში. ეს, თურმე, სკოლაში ატეხილ სროლაზე საუბრობს. განა, ერთი შაშხანა რა არის, ტრილიონების შეიარაღებასთან შედარებით, რაც უკრაინაში იგზავნება. ალეკო ელისაშვილს ენაზე კბილის დაჭერა არ სჩვევია და წამოსცდა: ჩვენი, ძველი ჯართი უკრაინაში გავაგზავნოთ და ამერიკიდან ახალი შეიარაღება მოვითხოვოთო. ხომ კარგია, მაგარი სოლიდარობაა არა. არადა, უკრაინაში, ვითომ, უკრაინელების მხარდასაჭერად იყო ჩასული. ესაა მხარდაჭერა, რომ უკრაინას ჯართი გაუგზავნო და შენ, ახალი შეიარაღება მოითხოვო?! მსგავსი რამ, ევროკავშირის წევრმა ზოგმა სახელმწიფომაც თქვა. ეს რას ნიშნავს? — მთელი ძველი შეიარაღების მარაგები უკრაინაში უნდა გაიხარჯოს და სამაგიეროდ, იარაღის მწარმოებლები აშენდნენ?! ეს არის ამ ყოველივეს შინაარსი და არა მოჩვენებითი ცრემლი და სოლიდარობა. ადამიანები მეცოდება, თორემ, პოლიტიკოსები თავის ბინძურ საქციელს გამართლებას ყოველთვის მოუძებნიან.

— ამ ყველაფრის მიუხედავად, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გავხდებით?

— ზოგს ჰგონია: ომის გამო, ჩვენც, უკრაინის ლოკომოტივს ჩავებმებით და ევროკავშირში იოლად გავწევრიანდებით. ასე, არ მოხდება! კანდიდატის სტატუსი რომც მივიღოთ, გასაწევრიანებლად კიდევ უამრავი პროცედურა და დროა საჭირო. იმისთვის რომ გაწევრიანდე. შინაარს თუ ჩახედავთ, ვითარება ასეთია: ევროკავშირში, აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნების მიღებით, კმაყოფილნი სულაც არ არიან. იმიტომ, რომ ძირითადი ლოკომოტივი არის გერმანია და საფრანგეთი. განა, რამდენი ქვეყანა შეიძლება შეინახო?! ამიტომ ვისაც ჰგონია, რომ ევროკავშირში მიღების შემდეგ, ევროპის ქვეყნების მსგავსი პენსიები, ხელფასები გვექნება და ავშენდებით, ეს, ასე იოლად არ მოხდება. ნაცები გაიძახიან: ხელისუფლება გვყავს ცუდი და ერვოკავშირში ამიტომ არ გვიღებენო. ასე არ არის. ნაცებიც რომ იყვნენ ხელისუფლებაში, მაინც არ მიგვიღებენ იმიტომ, რომ სხვა პოლიტიკური მოცემულობაა.

— კელი დეგნანმა სააკაშვილის გათავისუფლება მოითხოვა. ეს რას ნიშნავს?

— უამრავი წელი ვიმუშავე იმ თემაზე, რომ პატიმრები გამეთავისუფლებინა. ცხადია, ყველა პატიმარი ერთნაირი არ არის — ზოგი იმსახურებს თავისუფლებას, ზოგი — არა. რაც შეეხება დეგნანის მოთხოვნას, მან რეკომენდაციები ავღანელებს მისცეს, საიდანაც აშშ-მ გამოკურცხლა და იქ, მათი მხარდამჭერები შეატოვა. აბა, მათ მისცეს რეკომენდაციები, იქაური თალიბანი თუ მოუსმენს. ამერიკა ავღანეთში, ვითომ, დემოკრატიის დასამყარებლად შევიდა, მაგრამ ახლა იქ, თალიბანია. სააკაშვილის გათავისუფლებას ლომჯარიაც ითხოვს. კი ბატონო, მისგან პატიმრის გათავისუფლების მოთხოვნაში უცნაური არაფერია. ეს, მისი სამუშაოს ერთ-ერთი სერიოზული სეგმენტია. მე, სხვა რამ მიკვირს: საქართველოში ცხრა ათასზე მეტი პატიმარია. გვარამიას, სააკაშვილის და სხვა ნაცების უფლებების გარდა, სხვა პატიმრებზე სახალხო დამცველს, ოდესმე, ხმა ამოუღია? დავიჯერო, ყველა პატიმარი ციხეში ფუფუნებაშია, არავის არაფერი უჭირს, თუნდაც, ჯანმრთელობის კუთხით?! ეს ყველაფერი ორუელის ცნობილ ნათქვამს ემსგავსება: ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი ცხოველი უფრო თანასწორიო.

— მოდით, რუსეთ-უკრაინის ომზეც ვისაუბროთ: რა შედეგით დასრულდება?

— ეს არის რუსეთის და აშშ-ს, დასავლეთის ომი, რასაც უამრავი მიზეზი აქვს. ხომ გვახსოვს, როგორ აღიარეს, თავის დროზე, კოსოვო შუაგულ სერბეთში. ეს იგივეა, მცხეთა-დიდგორი მთლიანად დამოუკიდებელ, თან მუსულმანურ, სახელმწიფოდ რომ გამოგვიცხადონ. დიახ, ეს გააკეთეს აშშ-მ და მისმა ევროპელმა მხარდამჭერებმა შუაგულ ევროპაში — სერბეთში. სხვათა შორის, სააკაშვილმა გორივნული ნაბიჯი გადადგა და ამერიკელების ზეწოლის მიუხედავად, კოსოვოს დამოუკიდებლობა არ აღიარა. ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ჩვენ ხომ აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის მაგალითი წინ გვქონდა. პუტინმა მაშინ დასავლეთი გააფრთხილა: თქვენ, პანდორას ყუთი გახსენით და ეს პროცესები გაგრძელდებაო. ეს გახლდათ მეორე მსოფლიო ომის მერე დამყარებული წესრიგის ხელყოფა. იმ მომენტიდან ამ ყველაფრის რევიზია დაიწყო. ამ ყველაფრის მერე, როგორ მოთხოვს დასავლეთი რუსეთს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რატომ აღიარეო მაშინ, როცა თვითონ კოსოვო აღიარა. აი, ეს ვითარებაა. რუსეთ-უკრაინის ომი არ არის ერთი ან ორი დღის ამბავი, ეს გაგრძელდება. ამ წუთას იცი, რა ხდება? — ჩვენ, უკრაინის დაშლის შემსწრენი

ვართ. იმიტომ, რომ რუსეთს, უკვე, უკრაინის ტერიტორიების ნაწილი თავისი გავლენის სფეროში აქვს. ყირიმი, საერთოდ, მიიერთა. დასავლეთ-უკრაინა რუსეთის ინტერესების სფეროში არ შედიოდა. ეს ნაწილი ანტი-რუსული, რუსოფობიული იყო. ახლა, არენაზე პოლონეთი გამოჩნდა და განაცხადა: უკრაინის შემადგენლობაშია ჩვენი ისტორიული მიწები და საჭიროების შემთხვევაში მას დავიცავთო. რა გააკეთა ზელენსკიმ? იმის ნაცვლად რომ ეთქვა: შენ, ევროკავშირის წევრი ქვეყანა ჩემს ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებ და პატივს არ სცემო, ამის ნაცვლად, პოლონელ მოქალაქეებს უკრაინაში

განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა. ანუ, პოლონეთის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია უკრაინაში იყოს მოსამართლე და ა.შ. დიახ, პოლონეთის პოლიციამ იმ სამ ოლქში უნდა დაამყაროს წესრიგი, რომელზეც თავად პოლონეთს პრეტენზია აქვს. ხვდები, ხომ რა ხდება. რუსეთს ეს კიდეც აწყობს — ასე ვეღარავინ იტყვის: რუსეთი ერთადერთი ოკუპანტიაო.

— მავანი საუბრობს: რუსეთი დასუსტდა, იშლებაო. ასეა?

— ისტერიული ხალხის არ მჯერა. გულის სიღრმეში თავადაც ხომ კარგად იციან, რომ ახლა, უკრაინა იშლება და არა რუსეთი. თუ ვინმეს უკრაინაზე გული შესტკივა, ამ სისულელეს არ უნდა აჰყვეს. საოცრებებს ამბობენ: თურმე, დღეს არა და ხვალ უკრაინელები კრემლს აიღებენ. სამეზობლოდან გამომდინარე, რუსეთის დაშლა ყველაზე მტკივნეული, შეიძლება, ჩვენთვის აღმოჩნდეს. ჩვენ, ოდესღაც, ჩრდილოეთ-კავკასიასთან კი გვქონდა დალაგებული ურთიერთობები, მაგრამ ახლა, სხვა მოცემულობა, სხვა ურთიერთობებია. ამჟამად, ისეთ გარემოცვაში ვართ, რომ რეგიონის ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა გვქონდეს, სხვა გამოსავალი არ გვაქვს. აქვე, ისევ ერეკლე მეფის ამბავს მივუბრუნდები. ინტელექტუალის მანტიამოსხმულები სისიულელეებს რომ ლაპარაკობენ, ამის მაგალითია ბერძენიშვილის განცხადება. თურმე, ერეკლე მეორემ დასავლური ინტერესი დააზარალა იმით, რომ რუსეთს თავის ქვეყანა ჩააბარა. ჯერ ერთი, არ მგონია ერეკლე მეორეს ბერძენიშვილზე ნაკლებად ჰყვარებოდა თავის სამშობლო. მეორეც, ოსმალეთსა და სპარსეთს შორის შუაზე გაყოფილი საქართველო, საინტერესოა, დასავლური როგორ გახდებოდა. იმ ისტორიულ ეპოქაში, მაშინდელი სტანდარტების და მონაცემების მიხედვით, სწორედ, რუსეთი იყო დასავლეთი. ერეკლე მეორემ მაშინ ერთადერთი სწორი ნაბიჯი გადადგა. სხვა საკითხია ის, რომ მოლაპარაკება ისე არ შესრულდა და მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. ერეკლე მეორე ამას ვერ განჭვრეტდა. სხვათა შორის, ეს თემა ინტერნეტშიც გააცოცხლეს. კერძოდ, ერთ სუფრაზე აკა მორჩილაძესთვის უკითხავთ: ერეკლე მეფემ საქართველო რუსეთს ჩააბარა, ამაზე რას იტყვითო. მან უპასუხა: ერეკლე მეფე რომ გარდაიცვალა და განბანეს, სხეულზე საქართველოსთვის ბრძოლებში ხმლით მიყენებული 60-ზე მეტი ჭრილობა ჰქონდა, მე, ჩემი სამშობლოსთვის თითი არ გამკაწვრია და ერეკლე მეორეს პოლიტიკა როგორ უნდა შევაფასო. აი, ეს განსხვავებაა სულიერების მატარებელ ადამიანსა და მას შორის, ვისაც პოლიტიკური კონიუნქტურის გამო შეუძლია საკუთარ ქვეყანას, მის ისტორიას ყველაფერი აკადროს.

— ამერიკა რუსეთის დასუსტებას ცდილობს, მაგრამ ამავდროულად, ევროპასაც ხომ ასუსტებს?

— აშშ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ევროპა სუსტი და მასზე დამოკიდებული იყოს. ევროპას საკუთარი, ერთიანი შეიარაღებული ძალები არ ჰყავს, იგი, ნატოზეა დამოკიდებული. სინამდვილეში, რუსეთის დაშლა არც ამერიკელებს უნდათ, არამედ მათ, ელცინის პერიოდის დაჩოქილი, დასუსტებული რუსეთი აწყობთ. რუსეთის დაშლა მხოლოდ ჩვენს ტვინგაცხელებულ ლიბერალებს უნდათ.

— რაც შეეხება მეორე ფრონტის გახსნის მოწოდებებს, რას ემსახურება?

— მგონი ეს თემა უკვე დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ მე, ოპოზიციაში ვარ, ვერაფრით დავუკარგავ ირაკლი ღარიბაშვილს სწორ, გონივრულ ნაბიჯს, რაც ამ საფრთხის თავიდან აცილებას გულისხმობს.

— მუდმივად გვესმის: უკრაინა გაიმარჯვებს, რუსეთი დამარცხდებაო. სინამდვილეში, ვინ რჩება მოგებული?

— თუ უკრაინაზე გული შეგტკივა, ყველაფერი უნდა იღონო, რათა ეს ომი შეწყდეს. იმიტომ, რომ ომის ყოველი დღე არის მსხვერპლი. სამწუხაროდ, ვერცერთ მხარეს — ვერც აშშ-ს, ვერც ევროპას, ვერც რუსეთს ვერ ვატყობ, რომ ცეცხლის შეწყვეტით იყვნენ მოწადინებულნი. გავიხსენოთ, რა გააკეთა 2008 წელს სარკოზიმ? — მან როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ლიდერმა, ყველა ზომა მიიღო, რათა ცეცხლი 5 დღეში შეწყვეტილიყო. აი, ასეთი ვიცი, მე, დახმარება. ის რაც უკრაინაში ხდება ანუ, სამი თვის მანძილზე, თურმე, ვერცერთმა მხარემ ვერ მოძებნა ცეცხლის შეწყვეტის გზა, ჩემთვის ნათელს ხდის, რომ ამ ომის დამთავრება არცერთს არ სჭირდება. თუ აშშ რუსეთს უკანასკნელ უკრაინელამდე ეომება, მაშინ ხვდებით, ალბათ, საით მიდის საქმე.

თამარ შველიძე
555 23 28 24



მუყაოს ქალაქი „ნაციონალებისთვის“

7 გვ.

ამასობაში... კლინიკა „ვივამედი“ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ინფორმაციას ავრცელებს:

„პაციენტი მიხეილ სააკაშვილი, კლინიკა „ვივამედში“ შემოყვანილი იქნა მიმდინარე წლის 12 მაისს. იგი მოთავსდა თერაპიულ განყოფილებაში სტაციონარული ზედამხედველობის მიზნით. ჯან-

მრთელობის მდგომარეობა პაციენტის სტაციონარში ყოფნის პერიოდში არ გაუარესებულა, ლაბორატორიული მონაცემები დინამიკაში სტაბილურია, ნაწილი ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგები – უარყოფითი დინამიკის გარეშეა. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიაზე ნანახი ცვლილებები – ხანდაზმულია, არ არის კავშირში პაციენტის ამჟამინდელ მდგომარეობასთან და არ საჭიროებს აქტიურ სამედიცინო ჩარევას. მასმედიით ხშირად გაჟღერებული ინფორმაცია, რომ კლინიკა „ვივამედს“ არ შესწევს უნარი, დასვას დიაგნოზი და მართოს პაციენტი სათანადოდ – არის აბსურდული და შეურაცხმყოფელი“.

მეტი რაღა ქნას პატივცემულმა კლინიკამ? გამოიკვლია, შეისწავლა, გაანალიზა და დაასკვნა, რომ ეს ადამიანი ფინთად არ არისო, არაო, პირიქით, ზოგიერთი ორგანო ნორმაშიც კი აქვსო... რა გადახრებიც შეენიშნება, ეგ ძველია, ადრინდელიო. დიახ, თავი ადრე მიარტყა ბეტონის კედელს და არა ახლაო, აქ გაუგებარი რა არი?!

სანამ დავასრულებ, ბარემ ერთზეც გეტყვით... ამას არ ველოდი, პრანკერებმა აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ვოლოდიმერ ზელენსკის ხმით დაურეკეს, ბუშმა სააკაშვილის „მოღვაწეობაც“ შეაფასა:

ე.წ. ზელენსკი: ბოდიში თქვენი ბიჭის გამო, იძულებული გავხდი, გამეგდო, მუდმივად მოიხმარდა ნარკოტიკებს და იპარავდა ბევრ ფულს.

ბუში: დიახ, ვიცი... ის სულიერად მეამბოხე ბიჭია. გეთანხმებით, საქართველოში მასთან პრობლემები გვქონდა. პუტინმა ხაფანგი დაუგო და ისიც წამოეგო. მაშინ ნებისმიერი სახის პანიკა დაუშვებელი იყო. ჩემთვის გეკითხათ, უნდა ყოფილიყო თუ არა ის თქვენი მთავრობის წევრი, რჩევას მოგცემდით. სააკაშვილთან 2008 წლის შემდეგ არ მისაუბრია. მან ვერ შეძლო ნატოში შესვლა, ეს უდიდესი ჩავარდნაა. მას რომ საკუთარი ფესვების სწამდეს, ახლაც საქართველოში იქნებოდა და არ მოუწევდა უკრაინასა და სხვა ადგილებში ხეტიალი. იცით, ამან გამანაწყენა. ის ჯერ კიდევ უკრაინაშია? აცვია თუ არა მას ფორმა? იბრძვის რუსების წინააღმდეგ? თქვენ ხომ მიეცით მოქალაქეობა, ახლა უნდა იბრძოლოს.

ალბათ გახსოვთ, მიხეილ სააკაშვილი ტრაბახობდა, ჯორჯ ბუში ჩემი ძმაკაცია, ხან ვუყვიროდი კიდევაცო, 2008-შიც ვუყ-

ვირე და ტელეფონის ყურმილიც დავუხეთქეო. არადა, კაცი იძახის, ეგ რომ ნორმალური იყოს, თავისი ქვეყნიდან არ გაქსუვდებოდა, მაწანწალად არ გადაიქცეოდა, ეხლა სად არი, უკრაინაშია და ომობსო? აქედან გამომდინარე, რაღა დროს მიხა სააკაშვილია? არა, ზვიად კუპრავას რომ ჰკითხოთ, მალე დადგება დრო, როცა ამ დიდი „გენიოსის“ ტვინს გამოიკვლევენ და დაადგენენ, რომ ამაზე სიღრმისეული მოაზროვნე დედამიწაზე ჯერაც არ დაბადებულა.

რა მოაზროვნე, ხალხო? ავაშენოთ-მეთქი ერთი მუყაოს ქალაქი და დავნიშნოთ ესენი დიდ თანამდებობებზე. ზოგი ნაპოლეონი იქნება, ზოგი - აღმაშენებელი, ზოგი - ჩაპაევი, ზოგი - კუტუზოვი, ზოგი რობესპიერი, ზოგი კიდევ დედულ დედოფალი. დამიჯერეთ, ეგრე აჯობებს.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

პროლეტარად გამოცხადებული მიშა ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია

ამასწინათ შემთხვევით ჩემს ძველ ნაცნობს შევხვდი, რომელმაც ასეთი რამ მომითხრო: 2012 წელს მაშინდელი ოპოზიციის „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შტაბში ვმუშაობდი, დიდი ზეწოლების ქვეშ — მოკვლით მემუქრებოდნენ მეც და ჩემი ოჯახის წევრებსაც და ჩვენ ყველამ ვიცოდით, მაშინდელი ხელისუფლების სარჩევნო შტაბში კაცების გამუპატიურებლის შტატში რომ ჰყავდათ, ის კაციც მუშაობდა, ჩვეულებრივად დადიოდა და რასაც ავალებდნენ, აკეთებდაო. სახელი და გვარიც დამისახელა: კაცების ერთ-ერთი გამაუპატიურებელი დ.მ. დღისით მზისით დაუბრკოლებლად, უსირცხვილოდ, ნაციონალების შტაბში მსახურობდაო.

2012 წლის შემდეგ ეს კაცი დაუპატიმრებიათ, ოჯახში 10 და 12 წლის შვილები — გოგო და ბიჭი დარჩენია. გავიდა დრო, გამაუპატიურებელმა სასჯელი მოიხადა, მისი შვილები სტუდენტები გახდნენ და შარშან იმ შავბნელი კაცის უმშვენიერესი და პატიოსანი სტუდენტი ბიჭი თბილისში მამამისის მიერ გაუპატიურებულს მოუკლავს და მტკვარში გადაუგდია.

როგორც ხედავთ, სააკაშვილის ბინძური ხროვის მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე უცოდველი შთამომავლობა ნაღმივით ფეთქდება. რადგან ცოდვა უკვალოდ არასდროს იკარგება.

ამას რომ მონაგონს არ ვყვები, თუ შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან, შეგვიძლია მე და ჩემმა ნაცნობმა იგივე გავიმეოროთ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ამ საქმეს უკვე ვეღარაფერს უშველის.

სამაგიეროდ, შველას ითხოვს მიხეილი — ამ და სხვა ასეთი და ამაზე მძიმე უბედრებების ჩამდენი კლანის შემქმნელი და სულისჩამდგმელი. ყველას გვახსოვს, რომ ამბობდნენ: წამების კადრებს სპეციალურად იღებდნენ სააკაშვილისთვის, ის ნახულობდა და ამაზე მისებურად ხითხითებდაო.

სახითხითოდ და სასაცილოდ ნამდვილად ჰქონია საქმე, რადგან იმდენი ქონება დაუგროვებია, მას და მის შვილებს კი არა, არალეგალურად გაჩენილ შთამომავლებსაც მშვიდი სიბერე გარანტირებული აქვთ.

სააკაშვილის ქონებრივი დეკლარაცია, რომელიც მან 2012 წლის 16 მაისს შეავსო, ასე გამოიყურება: მას გააჩნია 6820 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი და 97 კვადრატული მეტრის საცხოვრებელი სახლი ყვარელში. მის საკუთრებაშია დაბა გუდაურში 500 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთი. სანდრა რულოვსის სახელზეა ქ.თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე 154 კვ.მ. ფართობის ბინა და 164 კვ.მ. ფართობის მანსარდი.

მიხეილ სააკაშვილმა კომპანია „არტესს“ ყვარელში არსებული ბინის მშენებლობისათვის, გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, 45 738 ლარი გადაუხადა, ხოლო მიწის ნაკვეთი 33 000 ლარად შეიძინა.

სააკაშვილის ძირითადი საცხოვრებელი სახლი კიევიდან 23 კილომეტრში, ელიტურ სოფელ ლესნიკში მდებარეობს. სოფელს სახელი ტყესთან სიახლოვის გამო აქვს და სწორედ ამ ღირსების გამო ეს ადგილი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ლესნიკში ცხოვრობენ ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები.

სააკაშვილის სახლი მაიამიში

თვითონ სააკაშვილი ამბობს, რომ სახლი დედამ, გიული ალასანიამ, აუშენა.

უკრაინული მედია სააკაშვილის დაჭერამდე რამდენიმე ხნით ადრე იუწყებოდა, რომ უკრაინაში მდიდარ პოლიტიკოსებს სწორედ ის მოაქვთ არგუმენტად, რომ მათ ფინანსურად დედა, დეიდა, ან მამიდა უზრუნველყოფთ და ეს ზრდასრული მამაკაცისთვის არასერიოზული განცხადებააო, დასძენდნენ.

კიევი, კოსტოლნაიას 7, ამ მისამართზე სააკაშვილი შინაპატიმრობის გატარებას გეგმავდა. უკრაინული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, კოსტოლნაიას 7 ისტორიული შენობაა და ამ შენობაში ერთოთახიანი ბინის ფასი ჯერ კიდევ წლების წინ 220 000 დოლარს აჭარბებდა.

შეგახსნებთ, ეს ის სახლია, რომლის სახურავიდანაც, მიხეილ სააკაშვილი ცნობილი ჭიდაობის მერე ჩამოიყვანეს.

უკრაინული ტელეარხები საუბრობდნენ სააკაშვილის გარმოცვაზე, რომლის მთავარ ფიგურად სერგეი ფესენკოს ასახელებდნენ, კაცზე რომელიც წლების წინ ბრალდებული იყო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში. სერგეი ფესენკო ბოლო ხანებში სააკაშვილის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. დიდი ხანი არ არის, რაც ის დაპატიმრებული იყო იარაღის უკანონო შენახვის გამო და მისჯილი ჰქონდა 14 წელი, თუმცა მალე გაათავისუფლეს. ცნობილი არ არის ფესენკოს, ანუ, როგორც ეძახიან, „ფრანგულ ბულდოგს“, ვინ მფარველობს და ვისი ძალისხმევით აარიდა თავი 14-წლიან სასჯელს.

მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ ის ესაუბრა უკრაინელ სპეციალისტებს, რომლებიც ამბობენ, რომ ფესენკოს „კრიშავენ“, როგორც უკრაინული, ასევე რუსული და ზოგიერთი ევროპული ქვეყნების სპეცსამსახურები.

სააკაშვილის სახლი უკრაინაში

თავად ფესენკო კი ამბობს: „მე არ ვარ სააკაშვილის დაცვა, არც არავისი დაცვა არ ვარ, მე უკრაინის აქტივისტი ვარ და როგორც მხარს ვუჭერ ჩემს უკრაინას, ასევე ვუჭერ მხარს მიხეილს, რადგან მე ვხედავ უკრაინას მაშინ, როდესაც სააკაშვილი არის მასში“.

ფესენკო აპირებდა ჩამოსულიყო საქართველოში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გრიგოლ ვაშაძის მხარდასაჭერად. ის, სავარაუდოდ, იმ მებრძოლების ჯგუფს უნდა შეერთებოდა, რომელიც საქართველოში უკრაინიდან შემოვიდა და თან ახლდათ, ასევე, სააკაშვილის მოკავშირე სემიონ სემენჩენკო.

ფესენკო ქართველ ჟურნალისტთან სატელეფონო საუბარში ამბობს: „როდესაც ჩამოვფრინდი საქართველოში, პირველივე თვითმფრინავით გამომიშვეს უკან, მინდოდა ჩემების ნახვა და საქართველოს დათვალიერება. გამომაგდეს. ტერიტორიაზეც კი არ შემიშვეს“...

სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია, ამერიკაში ცხოვრობს.

მაიამის სამხრეთ სანაპიროზე მიშიკო სააკაშვილსაც აქვს საცხოვრებელი სახლი. მაიამის ყველაზე პრესტიჟულ დასახლებაში ბინა არ არის ერთადერთი აპარტამენტი, რომელიც სააკაშვილს ამერიკაში ეკუთვნის.

მან მაიამიში ფეშენებელური აპარტამენტი ბიძასთან თემურ ალასანაიასთან კონსულტაციის შემდეგ შეიძინა. საცხოვრებელ სახლს ხედები ოკეანისა და ეზოს მხარეს აქვს. იქ ბინების ფასი მილიონ ნახევარი დოლარიდან იწყება. ნიუ-იორკში ცხოვრობს მისი ბიძა თემურ ალასანიაც. მიხეილ სააკაშვილი სხვადასხვა დროს ძვირადღირებულ სასტუმროებში ცხოვრობდა და ისეთ აპარტამენტებში, სადაც ცხოვრებას ნებისმიერი მოკვდავი ვერ შეძლებდა. აშშ-ში გამომავალი გაზეთი „ქარენ თაიმი“ იუწყება: ნიუ-იორკში სულ სამი ადამიანია, რომლებიც ქონების განკარგვის თვალსაზრისით ნდობით აღჭურვილი პირები არიან. აპარტამენტის ზუსტი ღირებულება უცნობია, მაგრამ ფასი მილიონ დოლარს აღემატება. ბინა „დაბლიუ ოტელის“ მესამე სართულზეა. ეს ძალიან პოპულარული შენობაა, სადაც, ასევე, აქვთ შეძენილი აპარტამენტები რამდენიმე ადამიანს ყოფილი საბჭოთა სივრციდან. მათ გარდა ბინების მფლობელები არიან ლათინური ამერიკის ქვეყნების მოქალაქეებიც. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, ფულის წარმომავლობის ახსნა არ შუძლიათ. ასეთი უძრავი ქონების გამო რამდენიმე სკანდალიც იყო, რადგან ამერიკის სამართლებრივი სისტემა ძალიან დიდი სიფრთხილით ეკიდება ასეთ ტრანზაქციებს... ახლახან რუსეთიდან და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან მყიდველთა ბინების თანხებით აშშ-ს მთავრობა დაინტერესდა და ბინების ზოგიერთი მფლობელი ახლა ცდილობს გაყიდოს ბინები თუნდაც დაბალ ფასად.

ფლორიდა ის ადგილია, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ბევრი ფული ჩადის.

სააკაშვილის და მისი ოჯახის ქონება სწრაფი გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ის 2003 წელს ვარდებით მოვიდა საქართველოს ხელისუფლებაში.

სააკაშვილის მამის ხელში აღმოჩნდა ბალნეოლოგიური კლინიკა, დედა უზარმაზარი უნივერსიტეტის მფლობელი გახდა, რომლის ღირებულება მაშინ 2 000000 დოლარი იყო.

სააკაშვილის გარდა საქართველოს ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოსული მოსული პირები რომ უსასრულოდ გამდიდრდნენ და საზღვარგარეთ და საქართველოშიც ფუფუნებაში ცხოვრობენ, მავნებლურ ტელევიზიებს ხსნიან და ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს ობიექტებს ფლობენ, ეს ცნობილია, მაგრამ ნახეთ, ზოგიერთ მათგანს მძარცველი მიშას ერთგულებისთვის რა ჯილოები აქვთ მიღებული. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის მიერ სახელმწიფო ქონება 1 ლარად გადაეცა თბილისის მერს გიგი უგულავას და მისი ძმის ირაკლი უგულავას კომპანიას, სახელწოდებით შპს „ჯეო ლენდი“, მიხეილ სააკაშვილის მიერ სახელმწიფო ქონება 1 ლარად გადაეცა



თემურ ალასანია

შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს ბეჟან ფარცვანიას, ასევე სააკაშვილის მიერ სახელმწიფო ქონება 1 ლარად გადაეცა შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს უფროსს, მეგის ქარდავას ძმას ლევან ქარდავას. ეს ის მეგის ქარდავაა, რომელზეც სააკაშვილმა ბრძანა, საერთოდ არ მახსოვს ვინ არის ეს ვიღაც მეგისა ქარდავაო.

ასევე, სიმბოლურ ფასად ნინო ბურჯანაძეს საკუთრებაში გადაეცა დაბა წყნეთში, სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები (571 მ2) და მათზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (31 696 მ2), ასევე, აღნიშნულ შენობა-ნაგებობებში განთავსებული მოძრავი ქონება და ინვენტარი, რომელიც მას მოგვიანებით, მისი პოლიტიკურად გააქტიურების შემდეგ, ჩამოერთვა ქონების გადასახადის გადაუხდელობის მიზეზით...

რაც ამ წერილში წარმოგიდგინეთ, თუნდაც მხოლოდ ამის გამო უნდა იჯდეს სააკაშვილი უვადო პატიმრობით საპყრობილეში.

თუმცა ეს არის არასრული სია იმ უპასუხისმგებლო და მძარცველური დამოკიდებულებისა ქვეყნის ბიუჯეტის მიმართ, რომელსაც ახორციელებდა ნაციონალური რეჟიმი საქართველოში.

ასეთი ქონების პატრონს, ციხეში ყოფნა, რა თქმა უნდა, გაუჭირდება, როცა იცის, რომ იმდენ ქონებას ფლობს, მთელი დარჩენილი ცხოვრება ფუფუნების ზღვაში ილივლივებს.სხვა ფაქტორებთან ერთად კიდევ ამიტომაცაა აუტანელი მისთვის პატიმრობა, თუმცა სააკაშვილის და მისი ამფსონების არაფერი გვიკვირს, გასაკვირი უფრო ის არის, ვითომ მიუკერძოებელი ჟურნალისტები ამ სახელმწიფოს მძარცველის მხარეს რომ არიან....

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„მეგობარს ჩახედე თვალებში...“

ალბათ, მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც იმდენი ლექსი და სიმღერა დაწერილა მეგობრობაზე, რამდენიც საქართველოში.

თავის მოსაწონებლად მარტო ის კმარა, რომ მსოფლიო ლიტერატურის შედევრს, „ვეფხისტყაოსანს“, მთავარ თემად სწორედ მეგობრობის თემა უდევს საფუძვლად.

ასე რომ, თუ რამე ვიცით ქართველებმა ზედმიწევნით კარგად, ეს მეგობრობის ფასია.

●

ბოლო ხანებში უცნაური მეგობრები შემოეჩვივნენ საქართველოს, რომლებიც თავს საქართველოს მეგობრებად აცხადებენ, მაგრამ სიტყვით და საქმით ზიანს აყენებენ, ფაქტობრივად, ებრძვიან, თუმცა ამას იმიტომ აკეთებენ თურმე, რომ საქართველო ძალიან უყვართ და ცდილობენ, თავიანთი

კრიტიკული მოსაზრებებით ხელი შეუწყონ მის წინსვლას და განვითარებას.

კრიტიკის და საქმიანი შენიშვნების წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ, როცა კრიტიკა და მკაცრი შეფასებები აბსოლუტურად სუბიექტური და უსამართლოა, ეს უკვე მეგობრობა არ არის, ეს მტრობაა, ოღონდ მეგობრობის საბურველით შეფუთნული.

ასეთი მწვავე კრიტიკა ევროპარლამენტის თუ ამერიკის კონგრესის ზოგიერთი წევრისგან რატომღაც მაშინ იღებს განსაკუთრებულად ხისტ ხასიათს, როცა საქართველოს ხელისუფლება სრულიად სამართლიანად, კანონის ყველა ნორმის დაცვით, ამა თუ იმ პირს ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აგებინებს ხოლმე და იქ მიაბრძანებს, სადაც საჭიროა.

უკანასკნელ ხანს ჩვენი ევროპელი მეგობრების ერთი ჯგუფის აღშფოთება და შეშფოთება მოჰყვა ნიკა გვარამიას დაკავებას, რომელიც საქართველოში ლამის დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების მებაირახტრედ იქნა შეფასებული.

როგორ გაბედა თურმე საქართველოს ხელისუფლებამ და როგორ გამოამწყვდია დემოკრატიისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი ჟურნალისტი ნიკა გვარამია.

— ამით საქართველომ საბოლოოდ მოიჭრა ევროკავშირისკენ მიმავალი გზაო, — ასეთი განაჩენი გამოგვიტანა ჩვენმა ერთ-ერთმა მეგობარმა ვიოლა ვონ კრამონმა.

ჩვენ, უბირმა ქართველებმა, არ ვიცით თურმე, რა მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა ეს ჟურნალისტი გვარამია, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება მისი დაჭერა-არდაჭერის საკითხზეა პირდაპირ მიბმული.

დაიჭერ გვარამიას და მორჩა, დაიხურება ევროკავშირის სანატრელი კარი.

ქალბატონი ვიოლასთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს ჟურნალისტი გვარამია მართლა დამნაშავეა თუ უდანაშაულოა. მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, რომ „თავისუფალი“ და „ოპოზიციური“ მედიის „თვალსაჩინო“ წარმომადგენელი ჟურნალისტი ციხეში ჩასვეს.

ქალბატონმა ვიოლამ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ნიკა გვარამია არავითარი ჟურნალისტი არ არის — ის გენპროკურორის ყოფილი მოადგილე და „ნაცმოძრაობის“ მთავარი იდეოლოგია, რომელიც პარტიამ, „ნაცმოძრაობამ“, ჟურნალისტიკაში შეაგზავნა, რომ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური საქმიანობის პროპაგანდას ჩასდგომოდა სათავეში.

გვარამიამ პარტიული დავალება შესანიშნავად შეასრულა — „რუსთავი-2“ „ნაცმოძრაობის“ ჯიბის ტელევიზიად, ხოლო იქ მომუშავე ჟურნალისტები „ნაცმოძრაობის“ მონებად და „შესტიორკებად“ აქცია.

„დიდი“ და „საშვილთაშვილო“ საქმის პარალელურად, როგორც გამოძიებამ უტყუარი ფაქტებით დაამტკიცა, გვარამია ტელეკომპანიის ფინანსებს, სხვადასხვა მანიპულაციებისა და კომბინაციების გზით ითვისებდა.

საუბარია არა ათასებზე და ათიათასებზე, არამედ ძალიან სერიოზულ თანხებზე, თუმცა ქალბატონი ვიოლასთვის ეს ყველაფერი რატომღაც არაფერს ნიშნავს.

„ჩვენ არა ქართველ ხალხს და საქართველოს, არამედ ხელისუფლებას ვაკრიტიკებთ, როგორც ქვეყნის წარმომადგენელს, რადგან მოვლენები მათი მხრიდან არასწორი მიმართულებით ვითარდება.

მე საქართველოს მეგობარი ვარ და არა „ქართული ოცნების“, — ამაყად განაცხადა ქალბატონმა კრამონმა.

დიახ, ქალბატონ კრამონს არ იყვარს „ქართული ოცნება“, სამაგიეროდ, უყვარს და ესარჩლება ყველას, ვისაც კრამონივით „ქართული ოცნება“ სძულს და „ქართულ ოცნებას“ უპირისპირდება.

ასეთი კი საქართველოში „ნაცმოძრაობაა“, რომელიც თავის მხრივ ძალიან არ უყვარს ქართველი ხალხის უმრავლესობას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ცხრა წლის განმავლობაში აბუალინგებდა — უდანაშაულო ადამიანებს ციხეებში ყრიდა, ქუჩაში ხვრეტდა ახალგაზრდებს, კლავდა და აწამებდა პატიმრებს, ყოველივე ამას კი ერთგულად ემსახურებოდა ნიკა გვარამია, რომლის დაჭერის გამო შეიძლება კრამონმა კუბილიუსებთან და ფოტიგებთან ერთად ევროკავშირის კარები მოგვიხუროს.

ერთ „საიდუმლოს“ გაგიმხელთ, ქალბატონო ვიოლა — „ქართულ ოცნებას“, რომელიც თქვენ გულზე არ გეხატებათ, ქართველი ხალხი მხარს უჭერს, ენდობა, პატივს სცემს, რადგან „ქართული ოცნება“, პირველ ყოვლისა, ქართველი ხალხის ინტერესებს გამოხატავს და ამ ინტერესებს ემსახურება.

ასე რომ, ელემენტარული ლოგიკით, როცა არ გიყვარს „ქართული ოცნება“, არც საქართველო გიყვარს და გიყვარს რაღაც მესამე, რომლის სახელიც ჩვენ არ ვიცით.

ერთ უცნაურ გარემოებას მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება.

ევროკავშირი ხშირად შეგვახსენებს, რომ საჭიროა მეტი რეფორმა, სასამართლო სისტემაში, რომ კანონი ყველასთვის კანონობდეს.

ამ დროს, როგორც ზემოთ ვთქვით, საკმარისია, რომელიმე პოლიტიკასთან ახლოს მდგომი პერსონა, ჩადენილი დანაშაულის გამო, სრულიად სამართლიანად და კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით, დავიჭიროთ, ეს პერსონა, ევროპარლამენტართა ერთი ჯგუფის მიერ მყისვე პოლიტპატიმრად ცხადდება და განგაშის სიგნალი ირთვება — საქართველოში ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით დევნიანო.

ასე გამოცხადდნენ პოლიტპატიმრებად კრიმინალური წარსულის მქონე ჟორიკა რურუა, ხაზინის ქურდი გიგი უგულავა, პარლამენტზე შტურმის მცდელობის ხელმძღვანელი ნიკა მელია, ქვეყანაში ტრაილერით შემოპარული, სხვადასხვა მძიმე დანაშაულში ბრალდებული და მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ არსებობს რაღაც პროვოლეგირებული კასტა ადამიანებისა, რომლებმაც, რაც უნდა ჩაიდინონ, პასუხი არ უნდა აგონ კანონის წინაშე.

მსჯავრდებული სააკაშვილი, რომელსაც ქართული სასამართლოს მიერ რამდენიმე წელი ჰქონდა მისჯილი, თავისუფლად დასეირნობდა ევროპარლამენტის ტალანებში და ევროპარლამენტარებთან შეხვედრებს აწყობდა.

არ არის ეს სრული უპატივცემულობა იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც თქვენ ასე ძალიან გიყვართ თურმე, ქალბატონო ვიოლა?

არ არის ეს ორმაგი სტანდარტის და შერჩევითი სამართლის დამკვიდრების მცდელობა?

სასამართლოს, აი, ასეთი „რეფორმებისკენ“ მოგვიწოდებთ თქვენ, პატივცემულო ევროპარლამენტარებო?

საქართველო თავისი ისტორიით, კულტურით, მენტალობით, ევროპული ქვეყანაა, რომელიც ოცი საუკუნეა, თავისი დიდი ოჯახისკენ, ევროპისკენ მიისწრაფვის.

საქართველო ევროპული ყაიდის ქვეყანა იყო მაშინაც, სანამ თქვენ დაიბადებოდით, ქალბატონო ვიოლა და სანამ ევროკავშირი დაარსდებოდა.

რატომ გახდა ამგვარი ქვეყნისთვის ევროკავშირში გაწევრიანება ასეთი პრობლემატური და ასე ძნელად მისაღწევი?

რატომ გვხვდება ამდენი ხელოვნური ბარიერი ევროპისკენ მიმავალ გზაზე და, ჩვენდა გასაკვირად, რატომ უწყობენ ზოგჯერ ხელს ამ ბარიერების აღმართვას ის ადამიანები, რომლებიც თავს საქართველოს მეგობრებად აცხადებენ.

ორ-სამ კვირაში ცნობილი გახდება, მიიღებენ თუ არა საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატად.

კანდიდატობა დიდი არაფერია, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც გავიგებთ, ვჭირდებით თუ არა საერთოდ ევროკავშირს, თუ კიდევ დიდხანს უნდა ვიდგეთ მათხოვარივით მის კარებთან?

„თუ გინდა სითბო და ალერსი, მეგობარს ჩახედე თვალებში“, — მოგვიწოდებს ერთი ქართული სიმღერის ტექსტი.

ჰოდა, ჩავხედოთ ერთმანეთს თვალებში და გავარკვიოთ, რა გვინდა ერთმანეთისგან.

ვახტანგ ხარჩილავა

დონალდ ტრამპი: თუ ბრძოლები არ შეჩერდება, კიდევ უამრავი ადამიანი დაიღუპება. ეს ომი უნდა დასრულდეს!

ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ეკონომიკური ფორუმის მიმდინარეობისას 99 წლის შესრულდა. აშშ-ისა და მსოფლიო პოლიტიკის ლეგენდას და პატრიარქს ძნელია, ვინმემ უწოდოს ყოფილი საბჭოეთის ან დღევანდელი რუსეთის მეგობარი. მართალია, თანამდებობიდან წსავლის შემდეგ რამდენჯერმე იმყოფებოდა რუსეთში, მაგრამ ქვეყანაში ჩასვლა მეგობრობას არ ნიშნავს. ჰენრი კისინჯერმა მოუწოდა მსოფლიოს საზოგადოებას, შეაჩერონ იარაღის მიწოდება უკრაინისთვის, უახლოეს ორ თვეში კიევმა დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებები რუსეთთან. უხუცესი პოლი-



ტიკოსი ურჩევს უკრაინელებს, არ გაჯიუტდნენ. უკვე დაკარგული ტერიტორიების სანაცვლოდ გააფორმონ ხელშეკრულება რუსეთთან, წავიდნენ დათმობაზე ომის შესაჩერებლად, ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად.

რადიკალურად განსხვავებული აზრი გამოთქვა სკანდალურად ცნობილმა მილიარდერმა, „ფერადი რევოლუციების“ შემოქმედმა ჯორჯ სოროსმა. მისი თქმით: „...უკრაინაში რუსეთი უნდა დამარცცხდეს, რათა გადარჩეს მსოფლიოს ცივილიზაცია. აშშ-ისა და მსოფლიო ჰეგემონია ვერ შეეგუება რუსეთის გამარჯვებას. ყველა რესურსის მობილიზება უნდა განვახორციელოთ, რათა მალე დავამარცხოთ პუტინი უკრაინაში“.

კიევში ჰენრი კისინჯერის სიტყვებით უკმაყოფილება ვერ დამალეს. უხეში სიტყვებით მოიხსენიეს მხცოვანი პოლიტიკოსი და დავოსის პროვოკატორიც კი უწოდეს. თუმცა მათი მხრიდან გასაკვირი არაფერია. უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმერ ზელენსკი დავოსის ფორუმში დისტანციურად ჩაერთო და უცნაური განცხადება გააკეთა: „...ერთადერთი კარგი, რაც რუსეთმა მოიმოქმედა, ის გახლავთ, რომ მარიუპოლის ქარხანა „აზოვსტალიდან“ მებრძოლების ევაკუაცია მოახდინეს“. სამხედროების მასიურად ტყვედ ჩაბარებას ზელენსკი „ევაკუაციად“ მიიჩნევს, რათა როგორმე შეინარჩუნოს სახე საკუთარ მოსახლეობაში, მაგრამ მისი ნათქვამი ცოტა ვინმეს თუ სჯერა. ისრაელელი პოლიტოლოგის და სამხედრო ექსპერტის იაკობ კედმის შეფასებით: „...ჰენრი კისინჯერი გამოცდილი, პროფესიონალი დიპლომატია. იგი ყოველთვის იდგა თავისი ქვეყნის სამსახურში. მის აზრს ყოველთვის ითვალისწინებენ მსოფლიოს პოლიტიკოსები. სოროსი ბანალური ფინანსური სპეკულანტია. საკუთარი ეკონომიკური მოგებისთვის ნებისმიერ ქვეყანას გაანადგურებს, იოლად გაწირავს თუნდაც ბრიტანეთს“.

შვეიცარიაში ეკონომიკურ ფორუმზე ჰენრი კისინჯერის გარდა სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებიც მოუწოდებდნენ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს დმიტრი კულებას სამშვიდობო მოლაპარაკებებისკენ, რაც დიპლომატმა თავადაც აღიარა. აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსებმა მთელი ძალისხ-

მევა სამშვიდობო მოლაპარაკებებისკენ, ომის შესაჩერებლად უნდა მიმართონ. ტრამპის თქმითვე, უკრაინის კონფლიქტი, ადვილი შესაძლებელია, მსოფლიო ომში გადაიზარდოს. „...თუ ბრძოლები არ შეჩერდება, კიდევ უამრავი ადამიანი დაიღუპება. ამიტომ აუცილებელია მოლაპარაკების დაწყება“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

მოწოდებების მიუხედავად, დიალოგის დაწყებას უკრაინის ხელისუფლება აჭიანურებს. ზელენსკის თქმით, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს მოლაპარაკებას, თუ რუსეთი 24 თებერვლის პოზიციებზე დააბრუნებს ჯარს. ამასობაში უკრაინამ ტერიტორიების 21% დაკარგა, ყირიმის გამოკლებით. ამის გარდა,. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გასულ კვირას გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ზაპოროჟიეს და ხერსონის ოლქის მაცხოვრებლები შეძლებენ გამარტივებული წესით რუსეთის მოქალაქეობის მიღებას. რას ემსახურება ეს გადაწყვეტილება, ძნელი მისახვედრი არ არის.

ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგია აშშ-ის დემოკრატი სენატორი ლინდს გრემი. იგი მოითხოვს, გაუზარდონ იარაღის მიწოდება უკრაინას, რათა ბოლომდე იბრძოლონ რუსეთის წინააღმდეგ. ჯორჯ სოროსის განცხადებით: „..უკრაინელები ჩვენთვის იბრძვიან, ამიტომ უნდა დავეხმაროთ, მივცეთ ყველაფერი, რასაც გვთხოვენ“. პენგატონში გასულ კვირას კვლავ გააკეთეს საგანგებო განცხადება — ამერიკელი სამხედროები უკრაინაში არ იბრძოლებენ არც ზღვაში და არც ხმელეთზე.

გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ გასულ კვირას ორი საყურადღებო ინფორმაცია გაავრცელა. ერთ-ერთის მიხედვით, აშშ ტაივანს იგივე შეიარაღებას იმავე სქემით აწვდის, რასაც უკრაინას. მეორე გაცილებით საყურადღებოა. აშშ--ის ადმინისტრაცია დღემდე თავს იკავებდა, უკრაინისთვის გადაეცა რეაქტიული საარტილერიო დანადგარები. ამ იარაღით სხვადასხვა ტიპის ნაღმების სროლა 300 კმ-ის რადიუსამდეა შესაძლებელი. გამოცემის მტკიცებით, ბაიდენის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა დანადგარების უკრაინისთვის გადაცემა, რასაც უკვე უახლოეს დღეებში ოფიციალურადაც დაადასტურებენ. კიევში მოუთმენლად ელოდებიან ახალ შეიარაღებას. ზელენსკის თქმით, უნდა მიაღწიონ რუსეთთან უპირატესობას შეიარაღების დარგში, რის შემდეგაც შეძლებენ გამარჯვებას (?!). სამხედრო ექსპერტები შეაშფოთა რეაქტიული დანადგარების უკრაინისთვის მიწოდების ინფორმაციამ. ისინი შიშობენ, რომ უკრაინელები შეტევებს რუსეთის ტერიტორიაზე განახორციელებენ, რითაც რეგიონული სამხედრო კონფლიქტი შესაძლოა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს, რაც არავის უნდა.

ორმაგი სტანდარტები ბევრი პოლიტიკოსის თვისებაა. განსაკუთრებითY გამოირჩცევა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი. გასულ კვირას მან აღიარა, რომ რუსეთი ნელა, მაგრამ დამაჯერებელ, სერიოზულ წარმატებას აღწევს ბრძოლის ველზე, მნიშვნელოვნად წაიწია წინ. თუმცა იქვე უკრაინელებს მოუწოდა, რომ ბრძოლა ბოლომდე განაგრძონ. საინტარესო ინფორმაცია გაავრცელა გასულ კვირას იტალიურმა გაზეთმა „კარერა დე ლე სერამ“. გამოცემის მიხედვით,

ბორის ჯონსონმა ზელენსკის შესთავაზა ახალი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა, სადაც უკრაინა, ბალტიის ქვეყნები, პოლონეთი გაწევრიანდებიან, ანუ ის ქვეყნები, რომლებიც რუსეთის აშკარა მტრები არიან. ინფორმაცია დღემდე ბრიტანელებს არც უარყვიათ და არც დაუდასტურებიათ. პოლიტოლოგების შეფასებით, ჯონსონმა ამ იდეით სილა გააწნა ნატოს, ევროკავშირს, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას... აღნიშნავენ, ასევე, რომ ჯონსონმა „ბრექსიტის“ შემდეგ, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა ევროკავშირს და ცდილობს, დააზარალოს ორგანიზაცია, რაც ყოველდღიურად აშკარა ხდება.

მიწვევის მიუხედავად, უკრაინაში არ ჩავიდა გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი, რომელიც აფრიკის ქვეყნებში იმყოფებოდა. გერმანიის ხელისუფლების განცხადებით, უკრაინისთვის თანამედროვე შეიარაღების გადაცემას არ გეგმავენ, რადგან თავადაც არასაკმარისი აქვთ. ფაქტი ირიბად დაადასტურა ევროჩინოვნიკმა ჟოზეფ ბორელმა: „...ისეთ ომს, როგორიც დღეს უკრაინაშია, ევროპის ქვეყნები ორ კვირასაც ვერ გაუძლებენ“.

იარაღთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს ნატოს ექსპერტებმა. მათი თქმით, ახალი, თანამედროვე შეიარაღება უკრაინას ვერ დაეხმარება. პირიქით, პირად შემადგენლობაში დაბნეულობას, ქაოსს გამოიწვევს, რადგან ახალი ტექნიკის გასაცნობად, შესასწავლად, მინიმუმ რვათვიანი მომზადებაა საჭირო, უკრაინელებს ამისი დრო არ გააჩნიათ,

არასახარბიელო მდგომარეობაა უკრაინის არმიაში. გახშირდა დეზერტირობის ფაქტები. სხვადასხვა ნაწილების მებრძოლები ვიდეოჩანაწერების დახმარებით

შველას სთხოვენ პრეზიდენტს, უჩივიან იარაღის, საკვების არქონას, ლაპარაკობენ ჯარში არსებულ გაუსაძლის პირობებზე. ყოველივე კარგად ჩანს თავად მებრძოლების მიერ გადაღებულ კადრებში. ხელისუფლების პირველი პირები, მათ შორის ზელენსკი, საბრძოლო პოზიციების დათმობას, წარუმატებლობას ტაქტიკურ სვლად აფასებენ. ამით მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ. გავრცელებული ინფორმაციით, თავად ზელენსკის ცოლ-შვილთან ერთად ბრიტანეთის პასპორტები აუღიათ. მშობლებს თელ-ავივის გარეუბანში რამდენიმე მილიონად სახლი უყიდეს. ზელენსკის წინამორბედი პეტრო პოროშენკო ქვეყნიდან არ გაუშვეს. მასზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ის, ასევე, ექვემდებარება მობილიზაციას, რადგან 56 წლისაა.

ორი კვირის წინ პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ განაცხადა: „ჩვენს ქვეყნებს შორის (იგულისხმება უკრაინა) საზღვარი არ უნდა არსებობდეს“. გასულ კვირას დუდა კიევში ჩავიდა და რადასაც ესტუმრა. ზელენსკი დაეთანხმა პოლონელი კოლეგის იდეას, რასაც მალე კანონით განამტკიცებენ. ამის შემდეგ პოლონეთის მოქალაქეებს შეეძლებათ უპრობლემოდ იმუშაონ უკრაინაში ნებისმიერ სახელმწიფო თანამდებობაზე. პოლიტოლოგების შეფასებით, ზელენსკიმ, ქვეყანა, ფაქტობრივად, პოლონეთის პროტექტორატს დაუქვემდებარა. უცნობია, რას მოიმოქმედებენ უნგრეთი და რუმინეთი, ორივე ქვეყანას უკრაინასთან ტერიტორიული პრეტენზიები აქვს.

მთავარ საკითხად რჩება უკრაინიდან ხორბლის გატანა. გერმანიას მატარებლებით გააქვს, თურქეთი და საფრანგეთი ფიქრობენ, ზღვით გაიტანონ. თუმცა საზღვაო პორტები დანაღმულია. ამიტომ ეჭვით უყურებს კულება პორტების ამუშავებას. „ნატომ ვერ შეძლო უკრაინის ცის ჩაკეტვა, ახლა რატომ გვგონია, რომ შეძლებენ საზღვაი პორტების გახსნას?!“ — განაცხადა დიპლომატმა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, უკრაინაში უკვე 8 მილიონი ადამიანი შიმშილობს, მათ შორის, ბავშვები...

გია ბურდული
551 71 27 07

სააკაშვილს და გვარამიას სურთ, ციხე პოლიტიკურ თეატრად აქციონ

გვესაუბრება
ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვერი
გრიგოლ გაგნიძე

— ბატონო გრიგოლ, როგორც უფლებადამცველს, მინდა გკითხოთ: ექსპრეზიდენტი მართლა ციხეში დაავადდა?

— ეს საკითხი უფრო დაემსგავსა და ემსახურება პოლიტიკური პროცესების მანიპულირების თეატრს, სპექტაკლადაა ქცეული ეს პროცესები. მინიმუმ იმისთვის, რომ ნაცამომრჩეველმა საკითხზე ყურადღება არ მოადუნოს. პოლიტიკური ტემპერატურის აწევა არ გამოსდით, ამიტომ ცდილობენ საპროტესტო აქციების აგორებას ამ თემაზე.

იუსტიციის მინისტრის რატი ბრეგაძის მიერ არაერთხელ აღინიშნა, რომ ექსპრეზიდენტი იმყოფება ევროპული სტანდარტების მქონე საპატიმროში, აქვს გასეირნების უფლება, რომელსაც არ იყენებს, რამდენადაც ვიცი, ფიზიკური ვარჯიშის უფლება და საშუალებებიც აქვს კუნთების ათროფია რომ არ დაემართოს, აქვს მრავალნაირი პრივილეგია კანონის ფარგლებში. ამის გამო პრეტენზიებიც გამოითქვა, სხვა პატიმრებზე მეტი უფლებებით და ყურადღებით დისკრიმინაციული მიდგომები არ განვითარდეს სხვა პატიმრების მიმართ, მაგრამ ფაქტი ის არის, რასაც ვხედავთ... სააკაშვილს, ფაქტობრივად, ოფისად აქვს გადაქცეული თავისი საკანი.

თუმცა პერიოდულად მაინც ტყდება აჟიოტაჟი პატიმრის უცხოეთში სამკურნლოდ გადაყვანასთან დაკავშირებით, ანუ, მათი თქმით, გამოდის, რომ ქართველ ექიმებს არ ენდობიან.

ყველას გვახსოვს, 2008 წლის ომიდან ხუთი თვის თავზე მიხეილ სააკაშვილმა ელიტური მასაჟისტი დოქტორი დოტი რომ ჩამოიყვანა. მასაჟისტს რომ გადაუხადეს 100.000 დოლარი, ის ფული ხომ ჰქონდა „ნაცმოძრაობას“, ადგნენ და ახლაც ჩამოუყვანონ გერმანელი, შვეიცარიელი ან ებრაელი ექიმები ისრაელიდან, ასე თუ ეცოდებათ სააკაშვილი, მაგრამ ამაზე არავინ ხმას არ იღებს, ამიტომ ეჭვი გვიჩნდება, რომ მისი ჯანმრთელობა არ არის ისეთი პრობლემატური, როგორც ხატავენ.

— არ შეიძლება არ გკითხოთ ყოფილი ხელისუფლების გენერალურ პროკურორის მოადგილეზე ნიკოლოზ გვარმიაზე, რომელმაც ბოლო წლებში სამართალდაცვას ჟურნალისტობა ამჯობინა. რა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება თავს თვლიდეს პოლიტიკურ პატიმრად, როცა „რუსთავი-2“-ის კანონიერი მმართველები მას თანხების გაფლანგვას ედავებიან?

— ახლა გვარამიასდროინდელი პროკურატურა და სასამართლო რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, მას სამ წელს კი არა, მინიმუმ, ათ წელს მიუსჯიდნენ.

მისი და სააკაშვილის მიმართ გამოტანილი მინიმალური სასჯელი არსებული მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის 2014 წლიდან შეცვლის შედეგია.

გავიხსენოთ: მათ მიერ შექმნილი რეჟიმის ნულოვანმა ტოლერანტობამ არ დატოვა სეგმენტი, რომ მკაცრად არ დაესაჯა. 2005 -2012 წლებში გასამართლდა 160-მდე მაშინდელი მოქმედი ადვოკატი. ასეთი იყო ნაციონალური „დემოკრატია“.

რაც შეეხება გვარამიას, სამწუხაროდ, ბოლო წლებში იგი უკიდურესად ბინძურ ლექსიკას არ ზოგავდა სასამართლო დარბაზებში, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სააკაშვილის პროცესებზე პროკურორების, ანუ ყოფილი კოლეგების მიმართ. ახორციელებდა აშკარა სიტყვიერ ბულინგს საქართველოს ქალ პრეზიდენტზე, ხან ჩვენი ქვეყნის ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილზე, უბრალო მოქალაქე, ქალბატონიც კი სცემა, მეტიც, ვაზის მომფერებელი, ღვინის მომყვანი ქართველი გლეხები არაერთხელ სიტყვიერად შეურაცხყო, რატომღაც გაბოროტებული არ ინდობდა ეკლესიას, საპატრიარქოს. ვისკენაც ხელი მიუწვდებოდა, ყველას შეურაცხყოფდა, ეს იყო აშკარა ბულინგი.

რაც შეეხება პოლიტპატიმრობას, გვარამიას და სააკაშვილის დროს რომ პოლიტპატიმრები იყვნენ, იმ რაოდენობასთან, მაშინდელ დევნასთან და დევნის ფორმებთან შედარება უბრალოდ უსამართლობაა და ღიმილის მომგვრელია.

— ამასთან ერთად ოპოზიცია და მათი მომხრეები ხელისუფლებას უკრაინის მისამართით უმოქმედობაში ადანაშაულებენ, ხოლო გვარამიას დაჭერას რუსეთის დაკვეთად ასაღებენ.

— უკრაინის მიმართ ხელისუფლებამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა, განსაკურებით ჰუმანიტარულ ტვირთებთან დაკავშირებით. ამას ყველა აღნიშნავს, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს უკრაინა არც ამ რაოდენობის ჰუმანური ტვირთით დახმარებია საქართველოს და არც სხვა რაიმე განსაკუთრებული გაუკეთებია.

სააკაშვილმა თქვა, რომ არახამია მისი გაზრდილია და მოიწონა მისი დესტრუქციული ქმედებები საქართველოს მიმართ. მიმაჩნია, რომ არსებობს ორი უკრაინა. ერთი, რომელიც კონფროტაციით და ქვეყნების ომში შეთრევით არის დაკავებული და ხალხი, რომელთაც, უბრალოდ, მშვიდობა უნდა.

რაც ეხება გვარამიას, მისი დაპატიმრებით რეიტინგი რომ აიწიონ, იმიტომ გაჰყვირიან, გვარამია რუსეთის დავალებით დააკავესო. სიმართლე კი ის არის, რომ ხელისუფლება რუსეთის დაკვეთას რომ ასრულებდეს, გიორგი გაბუნიამ უბინძურესი სიტყვებით რომ აგინა პუტინს, ვინმე ამათ ლაპარაკს ყურადღებას რომ აქცევდეს, მაშინ დაიჭერდნენ, მაგალითად, გვარამიას ან გაბუნიას და ამათი ყიჟინაც უფრო ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ ნიკოლოზ გვარამია სინამდვილეში შიდა დესტრუქციის ინსტრუმენტია, რაც, ჩემი აზრით, რუსეთს არაფერში არ უნდა აინტერესებდეს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ნინო

ნინოობასთან დაკავშირებით, ამ შესანიშნავ დღესასწაულს ვუსურვებ ყველა ნინოს!

გუშინ შემხვდა დიდუბეში
წმინდა ნინოს ხატება,
უფლის ხელით, სხვანაირად
ის ვერ დაიხატება.

იქნებოდა ოცამდე წლის,
მიწას არ ეხებოდა.
გარშემო მყოფთ ვერ ამჩნევდა,
შორეთს მისჩერებოდა.

სვეტიცხოვლის შორ სილუეტს,
მცხეთას ეჩქარებოდა?
შევდექ, თვალი მოვისრისე,
ხომ არ მეჩვენებოდა?!

ფრესკიდან თუ ჩამოვიდა,
ან ბოდბედან მოფრინდა,
ურწმუნოთა მოსაქცევად
ისევ ჩვენთან მოვიდა.

პატრიარქმა შეგვახსენა:
„შვილნო, ჩემნო, იწამეთ!
ის აქ დადის, წმინდა ნინო,
საქართველიოს მიწაზე!“

ვლადიმერ ჭანტურიძე
28.05.2022



მკვლელი რობოტები

ათწლეულებია მეცნიერები მსჯელობენ თუ როგორ შეიძლება კაცობრიობამ თავი გაინადგუროს მაიას ტომის წინასწარმეტყველება არ ახდა, თუმცა ადამიანებმა შესაძლოა ოდესმე მართლაც მოუღონ ბოლო თავიანთ არსებობას. გლობალური ეკოფაგიის, კოშმარული სცენარი პირველად აღწერილი იქნა ინჟინერ ერიკ დრექსლერის მიერ 1986 წელს გამოშვებულ წიგნში „შექმნის ძრავები: ნანოტექნოლოგიის მომავალი ერა”. მთავარი იდეა ისაა, რომ შემთხვევით თუ წინასწარ გამიზნულად, უკონტროლო თვითგამრავლებადი ნანორობოტები მთელ პლანეტას გარდაქმნიან უსარგებლო არეალად, რადგან ეკოსისტემას პირდაპირი მნიშვნელობით შთანთქავენ.

მიჩიო კაკუ

ადამიანები დაიწყებენ ტვინის ხელოვნური ინტელექტით ჩანაცვლებას, რის შედეგადაც მივიღებთ მილიარდობით უგონო ორგანიზმს, რომლებიც ისე ივლიან, როგორც ვიდეოთამაშების ბოტები. სავარაუდოდ იქნებიან ადამიანები, რომლებიც რიგი მიზეზების გამო ძველმოდურ მეთოდს აირჩევენ და ამ სიახლეზე უარს იტყვიან, თუმცა საფრთხე, როგორც ასეთი, მაინც არსებობს. რობოკალიფსი. ასევე ცნობილი, როგორც ტერმინატორის სცენარი, არის სავარაუდო მომავალი, რომლის მიხედვითაც განვითარებული ხელოვნური ინტელექტი ან ბოროტი ადამიანი რობოტებს კაცობრიობის წინააღმდეგ განაწყობს. ადამიანები მყიფე არსებები ვართ და მექანიკური მონსტრების წინააღმდეგ ვერაფერს გავხდებით. მონადირე მკვლელები და სხვა დანიშნულების მანქანები შეუბრალებლად აასრულებენ თავიანთ მისიებს. რობოტი კალიები მოსპობენ მცენარეულობას, რასაც მსოფლიო შიმშილი მოჰყვება. რობოტები სწრაფად გაამრავლებენ და შეაკეთებენ თავიანთ თავებს. ასევე ცხადია, რომ რობოტებთან კამათს ან ხვეწნას აზრი უბრალოდ არ ექნება. ისინი იქნებიან სიბრალულის, სინდისისა და შიშის გრძნობების გარეშე და გაჩერდებიან მხოლოდ მაშინ, როცა კაცობრიობის განადგურების მისიას ბოლომდე მიიყვანენ. ხელოვნური სუპერინტელექტი. ეს ვერსია რაღაც მხრივ რობოკალიფსს ჰგავს, ოდესმე ხელოვნური ინტელექტი განვითარდება იმ დონეზე, რომ ადამიანის მონაცემებს გადააჭარბებს, რასაც შეიძლება არც ისე დიდი დრო დასჭირდეს. ამ სცენარის მიხედვით, ხელოვნური სუპერინტელექტი რესურსებს თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, რათა მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. მის ხელში იქნება ინტერნეტი, ქარხნები, თავდაცვის სისტემები და რობოტები, რის გამოც ადამიანები დაუცველები დარჩებიან და დამარცხდებიან. კაცობრიობის სასარგებლოდ შექმნილი გამოგონება საბოლოოდ მის უდიდეს მტრად იქცევა.

ნაწილაკების ამაჩქარებლის ინციდენტი. მიუხედავად იმისა, რომ მოხდენის ალბათობა საკმაოდ დაბალია, მაინც არსებობს შანსი, რომ მაღალი ენერგიის ნაწილაკების ექსპერიმენტების ჩატარებით ხელი შევუწყოთ დედამიწის განადგურებას. როდესაც დიდი ადრონული კოლაიდერი იქმნებოდა, ადამიანების ნაწილი შიშობდა, რომ ის წარმოქმნიდა მცირე ზომის შავ ხვრელს ან დედამიწას აქცევდა „უცნაური მატერიის” შეკუმშულ მასად. საბედნიეროდ, ფიზიკოსები ამ მოვლენას დაბალ ალბათობას აძლევენ. უფრო მეტიც, ასტროფიზიკოსებმა მაქს ტეგმარკმა და ნიკ ბოსტრომმა გამოთვალეს, რომ ამის მოხდენის შანსი მილიარდ წელში ერთია. მეცნიერები დიდი ხნის წინ, აქტიურად განიხილავდნენ წინასწარგანზრახულად შექმნილ პანდემიას.

2005 წელს რეი კურცვეილმა და ბილ ჯოიმ ნიუ-იორკ თაიმსში გამოაქვეყნეს სტატია, რომელშიც ისინი გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ სახიფათო მეცნიერული ინფორმაცია ჩვეულებრივი ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა. სტატია იყო საპასუხო რეაქცია აშშ-ის ჯანმრთელობისა და ადამიანური სერვისების დეპარტამენტის გადაწყვეტილებაზე, გამოექვეყნებინათ 1918 წლის გრიპის ვირუსის სრული გენომი ინტერნეტში. „ეს უკიდურესად სულელური ნაბიჯია”, წერდნენ სტატიაში. „გენომზე არსებული ინფორმაცია მასობრივი განადგურების იარაღის რეცეპტია.

არცერთი პასუხისმგებლობის მქონე მეცნიერი არ მიემხრობა ატომური ბომბის ზუსტი სტრუქტურის გამოქვეყნებას, გრიპის ვირუსი კი უფრო მეტად სახიფათოა”. 2012 წლის 2 მაისს სამეცნიერო ჟურნალმა **Nature**-მა გამოაქვეყნა სტატია ექსპერიმენტზე, თუ როგორ ვაქციოთ ფრინველის გრიპი ადამიანებზე გადამდებ დაავადებად. ინფორმაციის ეპოქა ბიოტექნოლოგიურ რევოლუციას დაემთხვა და შესაძლოა, მხოლოდ დროის ამბავი იყოს, როდის შექმნის ვინმე (ან დაჯგუფება, ქვეყანა და ასე შემდეგ) ახალ, დიდი ალბათობით სასიკვდილო დაავადებას და ვირუსს გარეთ გამოუშვებს. ცნობილი თეორეტიკოსი ფიზიკოსი და მეცნიერების პოპულარიზატორი მიჩიო კაკუ პასუხს სცემს მკითხველის კითხვას – რა არის ყველაზე საშიში ტექნოლოგია? ჩემს წიგნში „**Physics of the Impossible**” ნახსენები მაქვს ტექნოლოგიის უჩვეულო ფორმები, რომლებიც შესაძლოა მომავალში გვქონდეს, თუმცა იქვე ფრთხილად შევნიშნავ, რომ ტექნოლოგიამ შეიძლება სიტუაცია გააუარესოს და საბოლოოდ ადამიანთა მოდგმა გაანადგუროს.

მაგალითისთვის ავიღოთ შიდსის ან ებოლას ვირუსი და წარმოვიდგინოთ, რომ ვაქცევთ იარაღად, რომელიც საჰაერო გზით ვრცელდება. დაფიქრდით, თქვენ დააცემინებთ და ეს სიკვდილის გარანტია იქნება. ჩნდება კითხვა, რამდენად შესაძლებელია ეს? პასუხია დიახ, შესაძლებელია. მართალია, ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ მაინც შესაძლებელი, რადგან ვიცით, საჰაერო გზით გავრცელებისთვის რა გენებია საჭირო. ასევე ვიცით, რომ შიდსის ვირუსი საკმაოდ მარტივია, მას ათამდე გენი აქვს. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალში მთავრობამ შეიძლება მოინდომოს ვირუსის იარაღად გამოყენება. მომავალ ათწლეულებში სკოლის მოსწავლე ბავშვებს შეეძლებათ, მანიპულირება მოახდინონ სიცოცხლის ფორმებზე. საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ მათ ექნებათ ერთგვარი საბეჭდი მანქანა, სადაც უბრალოდ აკრიფავ **A-T-C-G** და ის შექმნის დნმ-ს ზუსტად ამ თანმიმდევრობით. შესაბამისად, გამორიცხული არაა, რომ მომავალში სკოლის მოსწავლეები სამეცნიერო პროექტებისთვის გამოიყენებენ ამ საბეჭდ მანქანას, კლავიატურაზე აკრეფენ ასოებს და შექმნიან სიცოცხლის სხვადასხვა ფორმებს.

ერიკ დრექსლერი

ეს ისეთი რამაა, რასაც საკმაოდ დიდი შანსი აქვს, იქცეს რეალობად. ასევე გავითვალისწინოთ, რომ ესპანური გრიპის ვირუსის გენომი ინტერნეტშია გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ესპანური გრიპი ის დაავადება იყო, რომელმაც უფრო მეტი ადამიანი შეიწირა, ვიდრე პირველმა მსოფლიო ომმა. თქვენ შეგიძლიათ გადმოიწეროთ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მკვლელის გენომი და როცა ადამიანებს ექნებათ სიცოცხლის შესაქმნელი საბეჭდი მანქანები, რომელსაც ნებისმიერი სახის დნმ-ის აწყობა შეეძლება, შესაძლოა განზრახულად ან უნებურად შეიქმნას სუპერვირუსი, რომელიც კაცობრიობის დიდ ნაწილს ამოწყვეტს. განსაკუთრებით დიდია ამის შანსი, თუკი ასეთი ტექნოლოგია გახდება იაფი და ხელმისაწვდომი ყველა ადამიანისთვის. ამის შემდეგ ფიზიკის ფრონტზე ჩნდება ახალი კოშმარი, რომელიც ცნობილია, როგორც ურანის ლაზერით გამდიდრება. როდესაც აშშ-მ პირველმა დაიწყო ურანის გამდიდრება, ეს ხდებოდა რთული გზით. ტენესის შტატში აიგო უზარმაზარი ქარხანა და შიგნით დაყენდა ასობით კმ სიგრძის მილები. შემდეგ იღებდნენ ურანის ჰექსაფტორიდს, ზემოქმედებას ახდენდნენ მასზე ძალიან მაღალი სიმძლავრის ელექტროდენით და ნელა გამოყოფდნენ მძიმე ურანის ჰექსაფტორიდს მსუბუქისგან. სწორედ ასე მიიღებოდა ატომური ბომბი.

დღეს კი იგივე რამის გაკეთება ცენტრიფუგების ბრუნვითაც შეიძლება. როდესაც ურანი გადავა თხევად მდგომარეობაში, მისი მძიმე ფორმა ანუ U238 წავა ფსკერისკენ, ხოლო მსუბუქი U235 – ზემოთ. არსებობს მესამე გზაც და ეს არის ლაზერული სხივები. როგორც აღმოჩნდა, U235-ისა და U238-ის ელექტრონული აღნაგობა (ელექტრონების განაწილება ორბიტაზე) ერთმანეთს ძალიან ჰგავს, თუმცა ზუსტად იდენტური არაა. კვანტური მექანიკის კანონებით კი U235-ის ენერგიის დონეები უმნიშვნელოდ განსხვავდება U238-ისგან. შესაძლებელია შეიქმნას ლაზერული სხივი, რომელსაც ზუსტად ის ენერგია იქნება, რაც ამ ორს შორის სხვაობაა. ამის შედეგად შეგეძლებათ გააქტიუროთ ერთი მათგანი, მაგრამ არა მეორე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლაზერული სხივებს გამოიყენებთ იმისთვის, რომ გამოაცალკევოთ U235 U238-ისგან. ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც მხრივ მომავალში შესაძლოა, ვიღაცამ საკუთარ სარდაფში ააგოს გამყოფი მოწყობილობა, რომლითაც U235-ს გამოყოფს. მიჩიუ თხუთმეტი წლის წინ ამბობდა, რომ ეს ის კოშმარია, რომელიც ჯერჯერობით არ ახდენილა, მაგრამ შემდგომ წლებში რეალობად იქცევა, რადგანაც ურანის ლაზერით გამდიდრების ფასი თანდათან იკლებს.

აშშ-ის პენტაგონმა **Global Business Network**-ს დაავალა მოხსენების გაკეთება საკითხზე: „რომელია ყველაზე უარესი სამხედრო-პოლიტიკური სცენარი იმ შემთხვევისთვის, თუკი გლობალური დათბობა კონტროლს აღარ დაექვემდებარება?” დასკვნა ის იყო, რომ ამან შეიძლება ბირთვული ომი გამოიწვიოს. გაიხსენეთ საზღვარი პაკისტანს, ინდოეთსა და ბანგლადეშს შორის. ეს ადგილი ცხელი წერტილი იქნება იმ ფაქტის გამო, რომ გლობალური დათბობის შედეგად ბანგლადეშში შეიძლება დაიტბოროს. ამ შემთხვევაში ასობით მილიონი ლტოლვილი სხვა ქვეყნებს მიაშურებს, ხოლო იმ ქვეყნებმა, რომლებიც ბირთვულ იარაღს ფლობენ, შესაძლოა გამოიყენონ ეს იარაღი იმისთვის, რომ თავიანთი საფრთხის ქვეშ მყოფი საზღვრები დაიცვან. ჩემს წიგნში „**Physics of the Impossible**” ასევე ვსაუბრობ ნათელ მხარეზე, იმ ფანტასტიკურ ტექნოლოგიებზე, რომლებიც გვექნება შემდეგ ოც, ორმოცდაათ, ას წელიწადში. მაგრამ ნუ დაგვაბრმავებს ეს საკითხი, ტექნოლოგიას ასევე გააჩნია ბნელი მხარე. ანთროპოგენური გლობალური დათბობის აპოკალიფსური ვერსია გარდაუვალ ბუნებრივ კატასტროფებსაც მოიცავს, თუმცა მასში ჩვენი ხელიც ურევია. თუკი ნახშირბადის გამოყოფა დღევანდელი ტემპებით გაგრძელდება, შესაძლოა შეიქმნას ერთგვარი მარყუჟი დედამიწის ზედაპირსა და ნახშირბადით მდიდარ ატმოსფეროს შორის.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მსოფლიო მოსახლეობის 2.5% დაიღუპა. სამოცდაათი მილიონი მსხვერპლიდან ოცი მილიონს შიმშილმა მოუღო ბოლო. გარდა ამისა, დაღუპულთა თითქმის ნახევარი მშვიდობიანი მოსახლეობა იყო, რაც აქარწყლებს შეხედულებას იმაზე, რომ ომი მხოლოდ ჯარისკაცებს აზარალებს. ამ ომის შემდეგ რვა ათწლეულზე მეტი გავიდა და ტექნოლოგიაში სერიოზული წინსვლაა, რის გამოც ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ შემდეგი მსოფლიო ომი აპოკალიფსური იქნება. თუკი გამოვრიცხავთ ატომურ იარაღებს, შესაძლოა გამოყენებული იქნას ამ სიაში ნახსენები ტექნოლოგია, როგორიცაა მკვლელი რობოტები და ნანოტექნოლოგია. ამას საპასუხოდ შეიძლება მოჰყვეს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ამოქმედება, რაც უამრავ სიცოცხლეს შეიწირავს.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

ქადეშის ხელშეკრულება – დოკუმენტი მსოფლიოში პირველი ზავის შესახებ

კარნაკის ტაძრის კედლებზე, რომელიც ეგვიპტეში, ლუქსორის მახლობლად, ფივაში მდებარეობს, ფარაონ რამზეს II-ის ტაძარში მრავლისმეტყველი გრავიურებია გამოსახული. გრავიურებზე ეგვიპტელი ფარაონისა და ხეთების დიადი მეფის ეპოქალური ბრძოლის ბატალური სცენებია ასახული. ხათუსის, ხეთების ძლევამოსილი უძველესი სახელმწიფოს, დედაქალაქის ნანგრევებში მეცნიერებმა ათასობით თიხის ფირფიტა აღმოაჩინეს მათზე ამოტვიფრული ლურსმული ტექსტებით. როცა უძველესი იეროგლიფები გაშიფრეს, აღმოჩნდა, რომ ეს დიპლომატიური დოკუმენტები იყო — ერთ-ერთი მათგანი კაცობრიობის ისტორიაში პირველ საზავო ხელშეკრულებას წარმოადგენდა.

ისტორიის მეორე მხარე

ჟან-ფრანსუა შამპოლიონის წყალობით მეცნიერებას შესაძლებლობა მიეცა, ეგვიპტური ტექსტები გადაეთარგმნათ, რამაც ეგვიპტოლოგიის მიმართ ინტერესის ახალი ტალღა გამოიწვია. XIXს-ის შუაწლებში ხეთების დიადი მეფის ხათის იდენტიფიცირება მოხდა. ის ანატოლიის, ხეთური სამეფოს მმართველი იყო, რომელიც ახლა თანამედროვე თურქეთის ნაწილს შეადგენს. დაახლოებით ათი წლის შემდეგ, XIXს-ის 60-იან წლებში, გერმანელმა არქეოლოგმა ჰიუგო ვინკლერმა აღმოაჩინა ხეთების

დედაქალაქი ხათუსი და იქ და თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ბოგაზკალეს ციხესიმაგრეში გათხრები აწარმოა.

ყველაზე დიდი სასახლის ნანგრევებში აღმოაჩინეს 10 ათასზე მეტი თიხის ფირფიტა ლურსმული წარწერებით. რომლებზეც დოკუმენტურად იყო აღწერილი ხეთების ყველა დიპლომატიური ქმედება. აქვე იყო სამი ფირფიტა სამშვიდობო ხელშეკრულების ამოტვიფრული ტექსტით. გადათარგმნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის მთლიანად შეესაბამებოდა ეგვიპტის ტაძრებში აღმოჩენილ ტექსტებს.

ამ ტექსტმა არამარტო დაადასტურა ცნობილი ხელშეკრულების სინამდვილე, არამედ საშუალება მოგვცა, გაგვეგო, როგორ უყურებდა ამას მეორე მხარე. ის, რაც კარნაკის ტაძრის კედლებზე იყო გამოსახული გრავიურების სახით, მთლიანად შეესაბამებოდა აღმოჩენილ დოკუმენტს, რომელიც შესანიშნავ ბაბილონურ ენაზე ულამაზესი ლურსმულით იყო ნაწერი.

ისტორიას დავიწყებული ჰქონდა ხეთის ხალხის ამბავი, ადგილი, სადაც პირველი საზავო ხელშეკრულება დაიდო, ახლა კი ყველაფერი კაცობრიობის კუთვნილება გახდა.

პირველი საზავო ხელშეკრულება

ეგვიპტელებისა და ხეთების სამშვიდობო ხელშეკრულება უფრო ცნობილია, როგორც ქადეშის ხელშეკრულება. ეს მსოფლიო ისტორიაში მეცნიერების მიერ დარეგისტრირებული ამ ტიპის პირველი დოკუმენტია. ეს, ასევე, ერთადერთი ახლოაღმოსავლური ტრაქტატია, რომლის ორივე მხარის ვერსიებია შემონახული.

არსებობს უფრო ადრინდელი ხელშეკრულებაც, რომელიც მესოპოტამიაშია აღმოჩენილი და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2550 წლით არის დათარიღებული, თუმცა ის დოკუმენტი ლიკვიდაციის შესახებ გარიგებას უფრო ჰგავს.

ქადეშის სამშვიდობო ხელშეკრულებამ ბოლო მოუღო დიდხნიან მტრობას ძველ ეგვიპტესა და ხეთების იმპერიას შორის. ეს ორი ზესახელმწიფო ორ საუკუნეზე მეტ ხანს იბრძოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთი მხარის მიწებზე კონტროლის დაწესებისთვის. ბრძოლა, რომელიც ქადეშის მახლობლად გაიმართა, ეპოქალურ ბრძოლაში გადაიზარდა. ამჟამად ეს სირიის ტერიტორიაა. ბრძოლაში ორივე მხარემ დიდი დანაკარგი განიცადა. გამარჯვებას ვერცერთმა მხარემ ვერ მიაღწია, ორივეს თანაბარი ძალები ჰქონდა. შედეგად, თავი ორივემ გამარჯვებულად გამოაცხადა.

სახელწოდების მიუხედავად, ზავი ქადეშში არ დადებულა. უფრო მეტიც, ეს სამშვიდობო ხელშეკრულება მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ შეადგინეს და ხელიც მაშინ მოეწერა. მონარქები ერთმანეთს არც კი შეხვედრიან, ყველაფერს შუამავლები აგვარებდნენ. ხელშეკრულება ყველასთვის ხელსაყრელი იყო. ხეთებს აღმოსავლეთიდან ასირია ავიწროებდა, რომელიც ძალებს მაშინ იკრებდა, ეგვიპტელებს კი ხმელთაშუა ძღვისპირეთის ხალხები აწუხებდნენ.

პირველი სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიცირება ჩვენს ერამდე 1258 წელს მოხდა. ხელშეკრულება ხეთების იმპერიის დაცემამდე მოქმედებდა. მხოლოდ ასი წლის შემდეგ მოახერხეს ასირიელებმა ხეთების დამარცხება.

ეპოქალური დოკუმენტის შინაარსი

რამზეს II-ისა და ხათუსილი III-ის სამშვიდობო ხელშეკრულება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მეცნიერებისთვის სიტყვასიტყვითი ტექსტი გახდა ცნობილი. როგორც ამ ტიპის ნებისმიერი დოკუმენტი, ის პუნქტებისგან შედგება. ორივე მხარე ერთმანეთს მეგობრობასა და ძმობაში არწმუნებს. ისინი ვალდებულებას იღებენ, დახმარება გაუწიონ მეორე მხარეს, თუ მას თავს დაესხმიან, უნდა გაუგზავნონ ჯარი და საბრძოლო ეტლები მტრის დასამარცხებლად და მის გასანადგურებლად. დოკუმენტში აღნიშნულია ისიც, რომ მხარეები მზად არიან, მიიღონ ლტოლვილები და ყოველგვარი დახმარება აღმოიჩინონ მათ.

ხელშეკრულება მთავრდება სიტყვებით, რომ ღმერთები გააკონტროლებენ ტექსტში აღნიშნული ყველა ვალდებულებისა და პირობის შესრულებას. თუ რომელიმე მხარე არ შეასრულებს დანაპირებს, ღმერთები დამნაშავეს დასჯიან. ფირფიტებზე აღნიშნულია, რომ დამნაშავეს დასჯიან ხეთებისა და ეგვიპტელების ღმერთები, დაანგრევენ მის სახლს, გააღატაკებენ მის მიწას და მოკლავენ მის მონებს. ის კი, ვინც ყველაფერს ზუსტად შეასრულებს, ღმერთების მიერ გულუხვად დასაჩუქრდება. ორივე ქვეყნის ღმერთები მას სიცოცხლეს გაუხანგრძლივებენ, ჯანმრთელობას მიანიჭებენ, აკურთხებენ მის სახლს, მიწებსა და მონებს.



ხელშეკრულების ისტორიული შედეგები

სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ ეგვიპტის ფარაონს შეეძლო, უზარმაზარი თანხები, რასაც შეიარაღებისა და ჯარის მომზადებისთვის ხარჯავდა, სამშვიდობო საქმიანობაში გამოეყენებინა. იმ პერიოდში ეგვიპტეში ბევრი უდიდესი სამშენებლო პროექტი განხორციელდა. მათ შორის იყო აბუ-სიმბელეს უმშვენიერესი ტაძრები, რომლებიც კლდეებშია გამოკვეთილი. ყველაფერთან ერთად, ფარაონმა რამზესმა ხეთების მეფის ქალიშვილთან დინასტიური ქორწინებაც გააფორმა.

როდესაც ქადეშის ხელშეკრულება დაიდო და ორივე მხარემ შეთანხმებას მიაღწია, მისი ტექსტი ვერცხლის ფირფიტაზე ამოკაწრეს და ეგვიპტეში ჩაიტანეს. მას შემდეგ, რაც რამზესმა ის მოიწონა, შეადგინეს მისი ასლი ხეთების მეფისთვის, რომელშიც გამოყენებული იყო ორიგინალის ტექსტი, ხოლო შეტანილი ცვლილებები უმნიშვნელო გახლდათ. თავიანთი ეგზემპლარის მიღების შემდეგ ხეთმა გადამწერებმა დაამზადეს თიხის ფირფიტები, რათა ისინი სამეფო არქივებში შეენახათ. გერმანელმა არქეოლოგმა გათხრების შედეგად სწორედ ეს ფირფიტები აღმოაჩინა. ვერცხლის ფირფიტები არ შემონახულა, ალბათ, მოიპარეს და გადაადნეს.

დღეისათვის ორი ფირფიტა სტამბოლში, ძველი აღმოსავლეთის მუზეუმში ინახება, მესამე კი ბერლინის სახელმწიფო მუზეუმშია. ამ ისტორიული დოკუმენტის ასლი გაეროს ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში გამოსაჩენ ადგილზეა გამოფენილი. ხელშეკრულების ეგვიპტური ვარიანტი ფივაში მდებარე რამზეს II-ის ორი — რამესეუმისა და კარნაკის ტაძრის კედლებზეა გრავიურების სახით გამოსახული.

სამწუხაროა, რომ კაცობრიობამ დღემდე ვერ ისწავლა კონფლიქტური საომარი სიტუაციების მშვიდობიანი გზით მოგვარება, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს დედამიწაზე სხვადასხვა ქვეყნებს შორის არსებობს, მალე საზავო ხელშეკრულებებით დასრულდება...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

მადლობა

საქართველოში ბევრი კარგი ექიმია, მაგრამ კარგი ექიმობა ცოტაა, თუ კარგ ექიმობას კარგი ადამიანობა, გულისხმიერება, პაციენტისადმი გულწრფელი თანადგომა და სიყვარული არ ახლავს თან.

ამასწინათ ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით კლინიკა „გიდმედში" (ქართულ-ებრაული ერთობლივი კლინიკა) მოვხვდი. ოპერაცია ცნობილმა უროლოგმა, „გიდმედის" დირექტორმა კლინიკურ დარგში, ბატონმა **დავით ქოჩიაშვილმა** გამიკეთა.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის უროლოგიური სამსახურის უფროსი, კლინიკა „გიდმედის" დი-

დავით ქოჩიაშვილი

რექტორი კლინიკურ დარგში, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ორმოცი წელია, უროლოგიის დარგში მუშაობს და, აქედან გამომდინარე, მისი მაღალი პროფესიონალიზმი იმდენად არ გამკვირვებია, რამდენადაც ის, თუ როგორი განსაკუთრებული და გამორჩეული დამოკიდებულება აქვს ბატონ დავითს ყველა პაციენტთან, როგორი სითბოთი და სიყვარულით ეპყრობა ადამიანებს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თუნდაც მაღალი დონის სამედიცინო მომსახურება.

კლინიკა „გიდმედი" უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი კლინიკაა, სადაც შარდსასქესო ორგანოებთან დაკავშირებული ყველანაირი სახის ოპერაცია კეთდება, გარდა რობოტის მიერ მართვადი ოპერაციისა, თუმცა ბატონი დავითი იმედოვნებს, რომ ეს სიახლეც მალე დაინერგება კლინიკაში.

დავით ქოჩიაშვილმა თაობები აღუზარდა ქართულ უროლოგიურ სკოლას. მას ახლაც ახალგაზრდების დიდი ჯგუფი ჰყავს შემოკრებილი, რომლებსაც დაუზარებლად გადასცემს თავის ცოდნას და მრავალწლიან გამოცდილებას.

კლინიკა „გიდმედში" ბევრი შესანიშნავი ექიმი მუშაობს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო უროლოგი იოსებ არაბიძე, რომელიც ჩემი ოპერაციის დროს ბატონი დავითის მთავარი ასისტენტი, ოპერაციის შემდეგ კი ჩემი მკურნალი ექიმი იყო.

მიუხედავად ახალგაზრდა

იოსებ არაბიძე

ასაკისა, ბატონ იოსებს საკმაოდ დიდი სამედიცინო პრაქტიკა აქვს გავლილი. „გიდმედის" პარალელურად, იოსები პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში მუშაობს, ბავშვთა ქირურგია.

იშვიათად მინახავს ასეთი კომუნიკაბელური, უშუალო და ოპტიმისტური განწყობის ადამიანი, რომელიც თავის ოპტიმიზმს პაციენტებსაც გადასცემს, მაგრამ ამას ისე ბუნებრივად აკეთებს ხოლმე, რომ ვერც გრძნობ, რომ ეს შენთვის, შენი სასიცოცხლო ენერგიის მობილიზებისთვის კეთდება.

მისი ურთიერთობა პაციენტთან პაციენტის კლინიკიდან გამოწერის შემდეგაც ინტენსიურად გრძელდება — დღეში რამდენჯერმე დაგირეკავს, რჩევას მოგცემს, გაგამხნევებს და თანაც აუცილებლად დააყოლებს: „არ მოგერიდოთ, თუ რამე შეგაწუხებთ, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დამირეკოთ".

აქვე მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ანესთეზიოლოგი **ნინო ქოჩენიძე**, რომელმაც ისეთი ფილიგრანული ოსტატობით შეასრულა თავისი საქმე, რომ არც ოპერაციის დროს მიგრძვნია დისკომფორტი და არც ოპერაციის შემდეგ.

ჩემი გულწრფელი მადლობა „გიდმედის" მთელ კოლექტივს მაღალი პროფესიონალიზმისთვის, გულისწმიერებისთვის, ადა-

ნინო ქოჩენიძე

მიანებისადმი გამორჩეული სიყვარულისთვის.

წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო „გიდმედელებო"!

ვახტანგ ხარჩილავა,
მწერალი, „საერთო გაზეთის" მთ. რედაქტორი

კოვიდი ვინც გადაიტანა „გულის ელექსირი" ყველამ უნდა მიიღოს!

უნიკალური ლიცენზირებული ჰომეოპათიური პრეპარატი **„გულის ელექსირი"**, რომელსაც თავისი მაღალეფექტიანობის და გვერდითი მოვლენების არქონის გამო სიცოცხლის ელექსირადაც მოიხსენიებენ, მოკლე ხნის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგულე საშუალება გახდა. **„გულის ელექსირი"** შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ შეიძლება გახდეს პირველი ქართული ჰომეოპათიური წამალი, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც თავისუფალ გაყიდვაში იქნება.

გაზაფხულზე ხშირია გეომაგნიტური დღეები: წნევა ცვალებადობს, წარმოიქმნება არითმიები. ადმიაანები უჩივიან მოთენთილობას, ადვილად დაღლას. მატულობს ინფარქტების, ინსულტების წარმოშობის რისკი. სწორედ ასეთ დროს ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია **„გულის ელექსირს"**.

„გულის ელექსირის" შემქმნელმა ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ექიმმა კახა საბახტარიშვილმა თითქმის 15 წელი მოანდომა **„გულის ელექსირის"** ყველაზე ოპტიმალური ფორმულის დადგენას. **„გულის ელექსირი"** ყველა აფთიაქში რეცეპტის გარეშე გაიცემა და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან ერთად. 1 ფლაკონის ფასი 16 ლარამდეა და ყოფნის 1 თვეზე მეტხანს!

გულის ელექსირი ყველა საააფთიაქო ქსელშია: 593 31 70 34

ჩვენს ძვირფას მეგობარს, უღალატო, ერთგულ, კეთილშობილ, სათნო, თბილ და საყვარელ

მარინე ადეიშვილს

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მრავალ ბედნიერ, სიხარულით აღსავსე წელს; უშრეტ ენერგიას, ხალისს, ლამაზ, მზიან და ღიმილიან დღეებს...

ბელა გველესიანი და ბელა კალატოზიშვილი

„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი"
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კველიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99